# ალია

რეკლამა „ალიაში“
5 77 444 442

N169/3291/ 6-9 ნოემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE

## რისთვის ჩამოვიდა პრეზიდენტი ალიევი და რატომ არ დახვდა აეროპორტში პრეზიდენტი მარგველაშვილი?



5

## უნდა მომზადდეს ილია მეორის შეურაცხმყოფელი სიუჟეტები, ქართული ეკლესია ლაფში უნდა ამოსვარონ „ნაცისტების“ მზაკვრული გეგმა?!



11

რა ქონებას ფლობენ გიგა ბოკერია და თამარ ჩერგოლეიშვილი — ცნობილი წყვილის შემოსავლები და ხარჯები

3

ჰაიმეეე, ქალბატონო მანანა, თქვენ რომ ურთმელიძეს დაუდექით ადვოკატად, ისეთი ეჭვები გაგვიჩნდა, ისეთი, მტრისას და ავისას!!!

2

## როგორ წერს დაკეტილი „შუქებგამორთული“ სახლის მრიცხველი 2400 ლარის ელექტროენერგიას?

13

„ქინძი ვიყო, თუ ესენი მაგარი ქინძები არ იყვნენ!..“ — ნანუკა ჟორჟოლიანი

3

## „გამოდის, პრემიერ-მინისტრიც ამ დანაშაულის თანამონაწილეა და მასთანაც მოგვიწევს მისვლა გადადგომის მოთხოვნით“

ნოდარ ხადურის, ირაკლი ღარიბაშვილის და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ აქციები იწყება



7

## „პატრიოტები“ ივანიშვილ-ღარიბაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ!

ირმა ინაშვილი: „დღევანდელი ხელისუფლება გადაიქცა „მიშა 2“-ად და „ნაცმოძრაობა 2“-ად!“



9

გირჩი: შიშველთესლოვანი მცენარეების სქესობრივი გამრავლების ორგანო — რა გამოხმაურება მოჰყვა ახალ პოლიტიკურ ცენტრს

3

ინფრაწითელი კამერა ნასვამი ადამიანის გამოვლენას შეძლებს

16



კარიესის საწინააღმდეგო საშუალება შესაძლოა... კამფეტი გახდეს

16



დიდ ბრიტანეთში სელფდამოკიდებულებისგან განსაკურნი აბები გამოუშვეს



15

მშობლების სტრესი ბავშვებში ჭარბწონიანობის რისკს ზრდის

16



იტალიელ პატიმრებს ციხეში სქესის უფლებას აძლევენ?

16



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## კახი კახიშვილი: ჩემი კაბინეტისთვის არც ერთი თეთრის დივან-სავარძელი არ გვიყიდია არც მე და არც ჩემს წინამორბედს



სასჯელაღსრულების მინისტრმა კახი კახიშვილმა გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ, რომლის მიხედვითაც კახიშვილს პირადი კაბინეტის სავარძლებისთვის ნახევარი მილიონი ლარი აქვს დახარჯული, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი კაბინეტისთვის არც ერთი თეთრის დივან-სავარძელი არ უყიდია, არც მას და არც წინამორბედს. მინისტრის თქმით, ის სააგენტო „ედიტორ.ჯი“-ს სასამართლოში უჩივლებს და ასეთ ცილისწამებას არავის შეარჩენს.

– თუ ძალიან უნდა „ნაციონალურ მოძრაობას“, შემიძლია, გამოვაქვეყნო რამდენი მილიონის ქონება ჰქონდათ ნაყიდი კაბინეტებისთვის წინა ხელისუფლებას და ამის მასალები გვაქვს. ჩემი მაგიდაც წინა მთავრობის დროს არის ნაყიდი, რომელშიც დახარჯულია 11 000 ლარზე მეტი და რომ ვუყურებ, ვფიქრობ, რა აქვს ამ ფასის, მაგრამ ვერ ვხვდები. ასე რომ, ძალიან კარგად დაფიქრდნენ, სანამ რაიმე განცხადებას გააკეთებენ. არავის შევარჩენ ასეთ უსაფუძვლო განცხადებებს, მით უმეტეს, რომ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ საბიუჯეტო თანხების გაფრთხილებისთვის და ამ დროს თურმე 500 000-ლარიან დივან-სავარძლებზეა საუბარი, როდესაც ერთი თეთრის არ ყოფილა ნაყიდი ჩემი კაბინეტისთვის. აუცილებლად შევიტან სარჩელს სასამართლოში, მოვითხოვ ბოდიშის მოხდას, თანხის პატიმრების ფონდში გადარიცხვას მორალური ზიანისთვის და ამავდროულად „ფეისბუკზე“ იმდენივე ბოდიშის გაზიარების უზრუნველყოფას, რამდენიც ამ ინფორმაციას აქვს, – განაცხადა კახიშვილმა.

მისი თქმით, ინვენტარის ყიდვა მოხდა ორთაჭალაში ახალი შენობისთვის და არა მისი პირადი კაბინეტისთვის.

– ის, რაც იყო ნაყიდი, იყო ნაყიდი მაშინ, როდესაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაცია გამოცხადდა და ორთაჭალაში ახალი შენობა გაიხსნა, რომელშიც ხუთი დეპარტამენტი განთავსდა. ამისთვის შევიძინეთ ჩვეულებრივი სკამები და საოფისე ინვენტარი ჩვენი თანამშრომლებისთვის, – განაცხადა კახიშვილმა.

მისივე თქმით, მას ასევე აქვს მასალები, როგორ შეიძინა ყოფილი ხელისუფლების დროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა ერთი დღის განმავლობაში 2 მილიონი ლარის ავტომობილები. (რეპორტიორი)

**თუ ასეთი მასალები გაქვთ, კაცო, თუ იცით, რომ ამხელა თანხაა გაფლანგული, გამოაქვეყნეთ მერე, რას იმუქრებით? ან აქამდე რას ელოდებოდით — ცის გახსნას და ციურ მანანას?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## აქაური პენსია მონდომებია ბიჭს... მოხარშული წაბლი ვერა?!



მიხეილ სააკაშვილი – საქართველო ჩემი საპენსიო გეგმაა

ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი მზად არის, უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავოს. ამის შესახებ სააკაშვილმა გამოცემა „პოლიტიკოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

– ვისურვებდი დიდ ცვლილებებსა და რეფორმებში მონაწილეობას. ამისთვის მზად ვარ, – განაცხადა სააკაშვილმა.

მისი მოსაზრებით, ძლიერი და სტაბილური უკრაინა შეძლებს რუსეთის ექსპანსიის შეჩერებას.

– თუ უკრაინა რუსეთს არ შეაჩერებს, ჩემი მოსაზრებით, რუსეთი ადვილად წაშლის რუკიდან საქართველოსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს. ძლიერი უკრაინა რუსეთისთვის უდიდესი გამოცდაა, – განაცხადა სააკაშვილმა.

ოდესის გუბერნატორმა ასევე უკრაინის პრემიერ-მინისტრი არსენი იაცენიუკი „ჩრდილოვანი მინისტრთა კაბინეტის“ შექმნაში დაადანაშაულა, რომელიც გარკვეულ „ბიზნესინტერესებს“ ემსახურება.

ჟურნალისტის კითხვაზე, აპირებს თუ არა საქართველოში, პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელების მიზნით დაბრუნებას, სააკაშვილმა განაცხადა:

– საქართველო ჩემი საპენსიო გეგმაა.

გამოცემა „პოლიტიკო“ აღნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსია. სექტემბრის ბოლოს უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს სახელზე გაიგზავნა ელექტრონული პეტიცია სააკაშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შესახებ. პეტიციას 30 000-ზე მეტმა ადამიანმა დაუჭირა მხარი. (ინტერპრესნიუსი)

**აქაც ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი იყო, მაგრამ რად გინდა, ამოიდო ფეხქვეშ მთელი ქვეყანა, გადააჯდა ზემოდან და რაც გვიქნა, ქართველებმა კი ვიცით, აი, უკრაინელები როცა გაიგებენ, მერე ძალიან გვიანი იქნება.**

**ისე, თავმდაბლობით რომ გამოირჩეოდა, მაგას რა დაგვავიწყებს, თანაც, ადრე უკვე აქვს ნათქვამი უკრაინულ მედიასთან — პრემიერობა არ მინდა, მე და ჩემმა მზემო. აგე, თუ არ უნდა — გაიზარდა გოჭი ფიფო, გაეზარდა...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სახალხო ნებით კი არა, ივანიშვილის ხათრით აგირჩიათ ხალხმა, ბატონო პრეზიდენტო, და ძალიანაც შეცდა, ზოგადად, რომ ენდო მას!



გიორგი მარგველაშვილი საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრის **(GCSD)** მიერ ორგანიზებულ კონფერენციას დაესწრო, რომელიც ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით ჩატარდა.

კონფერენცია თემაზე „დემოკრატიული კონტროლი საქართველოს უსაფრთხოების სექტორზე“ გაიმართა.

– ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს საქართველოს პრეზიდენტს, როგორც საერთო, სახალხო ნებით დემოკრატიულად არჩეულ ფიგურას, რომელიც, ერთი მხრივ, არის სახელმწიფოს მეთაური და მეორე მხრივ, წარმოადგენს უმაღლეს მთავარსარდალს შეიარაღებულ ძალებთან მიმართებაში. პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს უმაღლესი თანამდებობის პირებს გენერალურ შტაბში, ხელმძღვანელობს უშიშროების საბჭოს.

უშიშროების საბჭოს კონცეფცია შეიცვალა კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედებასთან ერთად და გახდა ის ადგილი, სადაც ქვეყნის უშიშროებასა და თავდაცვისუნარიანობასთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები განიხილება, უმაღლეს პოლიტიკურ კონტექსტში, სადაც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები ერთად მსჯელობენ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. (ნიუპოსტი)

**თუ შესაძლებელია, ადამიანი იმედგაცრუებას შეეჩვიოს, ქართველები ამ მხრივ უპირობო ჩემპიონები ვიქნებოდით, რადგან ვისზეც და რაზეც იმედებს ვამყარებთ, ყოველთვის მოტყუებულები ვრჩებით. შესაძლოა, ძალიან გულუბრყვილოები ვართ ან რა ვიცი, ისე ვართ დანატრებული ნორმალურ ცხოვრებას, რომ ზედმეტად ფერადად ვხატავთ სიტუაციას, როგორც ოცნებებში წარმოგვიდგენია და მხოლოდ ბოლოს მივხვდებით ხოლმე, რომ ისევ შევცდით.**

**ჰოდა, ასე შევცდით ძველ პრემიერშიც, ახალშიც, პრეზიდენტშიც, პარლამენტში ხო საერთოდ. ამიტომაც ძალიან უადგილო გვგონია იმაზე საუბარი, რომ საერთო სახალხო ნებით იყოს ვინმე არჩეული.**



## მიშა ქარელი: „დრუგუ ვ როტ, ვრაგუ ვ ზადი“

ვეტერანი მალხაზ თოფურია სოციალურ ქსელში კურიოზულ ფაქტს იხსენებს, რომელიც, დანაშაული იქნება, ჩვენს მკითხველსაც არ გავაცნოთ:

– ნამდვილი ამბავი, რომლის კადრებიც, სამწუხაროდ, არ გავრცელდა...

ერთ-ერთი მოლაპარაკებისას, როდესაც საქართველოს მიშა ქარელი წარმოადგენდა და რუსეთს – კულახმეტოვი, თარჯიმანი სადღაც გავიდა და კამათი გაგრძელდა... აღშფოთებულმა ქარელმა, არ ვიცი, რას მოაყოლა, უცებ წამოისროლა...– მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო!!

კულახმეტოვმა გადაწყვიტა, შემაგინაო და გაექაჩა. ქარელმა, ე მანდ არ შემომარტყასო და სასწრაფოდ გადაუთარგმნა – ია გავარილა: დრუგუ ვ როტ, ვრაგუ ვ ზადი...

სულ გადაირია კულახმეტოვი, „კტო ეტოტ პიდარასტ“?! თარჯიმანმაც მოუსწრო ამასობაში და გადაგვირჩა პოლიგლოტი, – წერს მალხაზ თოფურია სოციალურ ქსელში.

## ბორკილები თავის დროზე რომ დაედო „ოცნებას“ მათთვის, ვინც იმსახურებს, ახლა ასე გამწარებული არ იქნებოდა ხალხი! რა, არა?!



უმრავლესობის დეპუტატი ნუკრი ქანთარია ბოლო პერიოდში გავრცელებულ ჩანაწერებს ეხმაურება და არ გამორიცხავს, რომ მომავალში „ბორკილებით ვინმე პარლამენტიდანაც გაიყვანონ“.

მისი თქმით, გავრცელებული ჩანაწერებით ხალხმა გაიგო, როგორ აპირებს „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში მოსვლას.

– არ გამოვრიცხავ, მომავალში პარლამენტიდანაც კი ბორკილებით გაიყვანონ ვინმე, თუმცა ამას წყალგაუმტარი მტკიცებულებები სჭირდება. ახლა მნიშვნელოვანია, ვინ გაემიჯნება ამ სისხლიან სცენარს და ვინ დარჩება სააკაშვილის სისხლიან ბანდაში. ჩანაწერების უკან შეიძლება იყოს კოლომოისკის ხალხი, უკრაინაში მყოფი სხვა ჯგუფები, რომლებსაც აბსოლუტურად არ ახატიათ გულზე სააკაშვილი და უნდათ, რომ მას წინააღმდეგობა გაუწიონ. ეს შეიძლება იყოს კიდეც „ფე-ეს-ბე“ თუ სხვა, – განაცხადა ქანთარიამ. (ნიუპოსტი)

**„წყალგაუმტარი მტკიცებულებებიო“... ჰმ!**

**წყალგაუმტარი კი არა, როგორც თავიდან ამბობდით, ტყვიაგაუმტარი მტკიცებულებები გქონდათ „ნაციონალების“ წინააღმდეგ.**

**არა, თუ რამე გვეშლება, შეგვისწორეთ, დედას გაფიცებთ, არ გვეწყინება. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ვერ შეგვისწორებთ — კარგი მეხსიერება გვაქვს, თქვენდა სამწუხაროდ.**

**ნუ, დაველოდოთ, ნუკი ბატონო, დაველოდოთ და ვნახოთ, რას შეძლებს „ქართული ოცნება“...**

## ჰაიმეეე, ქალბატონო მანანა, თქვენ რომ ურთმელიძეს დაუდექით ადვოკატად, ისეთი ეჭვები გაგვიჩნდა, ისეთი, მტრისას და ავისას!!!



უმრავლესობის წევრი მანანა კობახიძე საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებაში ფაქტობრივ უზუსტობებს ხედავს. პარლამენტის ვიცე-სპიკერი ინტერესდება, რატომ არ მოუსმინა საკონსტიტუციო სასამართლომ მოპასუხე მხარეს – პარლამენტს, როდესაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სარჩელი განიხილა.

– საკონსტიტუციო სასამართლო ლამის ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებულ პრაქტიკას არღვევს. გვიჩნდება ეჭვი, რომ ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევია გარკვეული პოლიტიკური მოტივებით. რატომ უდგებიან ასე თავგამოდებით ადვოკატად „რუსთავი 2“-ს, ეჭვს მიჩენს, ხომ არ არის მანიპულაცია პოლიტიკური ძალისგან იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რა კავშირებიც წლების განმავლობაში იყო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესა და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის, – განაცხადა კობახიძემ.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაავრცელა განცხადება, სადაც მანანა კობახიძე მცდარი ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა. საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაციით, სასამართლო თითოეულ საქმეს იხილავს იმ ვადაში, რაც ობიექტურად აუცილებელია კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად.

შეგახსენებთ, ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოში „რუსთავი 2“-ის მოპასუხე იყო პარლამენტი, რადგან „რუსთავი 2“ სწორედ საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონის მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდა. (ნიუპოსტი)

**მონა მოსამართლეებს რომ ვერაფერი მოუხერხეთ, ქალბატონო მანანა, ეგ ერთი დიდი ცოდვაა, თუმცა, მეორე მხრივ, მონა მოსამართლის დამორჩილება ხომ უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე ახლისა და ჯერ გაურყვნელის (ნუ, საერთოდ თუ არსებობს ბუნებაში ასეთი)...**

**ჰოდა, თქვენ რომ თამაზ ურთმელიძეს გამოექომაგეთ, ჩვენც გაგვიჩნდა ეჭვი: როცა მან „ალია“-„ქრონიკას“ უდიდესი დარტყმები მიაყენა, ამოიღო ვინმემ ხმა? არა! რატომ? ვფიქრობთ, ინტერესი ჰქონდა ვიღაცას ამის და იმიტომ!**

## ვაა, მაგრად კი გაგიჩალიჩეს, გირჩელებო, დიდი იაღლიში მოგსვლიათ, მე და ჩემმა ღმერთმა




დეპუტატმა გოგა ხაჩიძემ სოციალურ ქსელში ვიდეორგოლი გაავრცელა, სადაც ის „ნაციონალურ მოძრაობას" დომენის წართმევაში ადანაშაულებდა, თუმცა, როგორც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში" განუცხადეს: **girchi.ge** მათთან კავშირში არ არის.

პირმა, ვის სახელზეც არის დომენი რეგისტრირებული, გოგა ხაჩიძეს პასუხი სოციალური ქსელით გასცა – „ფეისბუკში" გიორგი ქართველიშვილმა დაწერა, რომ დომენი **girchi.ge** მან დაარეგისტრირა, რადგან ეს მისი ბიზნესია.

– მე, გიორგი ქართველიშვილს, მაქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების კომპანია, რომლითაც ვემსახურები ძალიან ბევრ ორგანიზაციას და მათ შორის „ნაციონალურ მოძრაობასაც". რაც შეეხება დომენის **girchi.ge**-ს რეგისტრაციას, დიახ, მე დავარეგისტრირე და 15 ათას ლარად მივყიდი ნებისმიერ მსურველს, ეს იქნება პოლიტიკური პარტია თუ ფიზიკური პირი. გირჩის პრეზენტაციის შესახებ რომ გავიგე, უბრალოდ, შევამოწმე დომენი და აღმოჩნდა, რომ თავისუფალი იყო. ამხელა ამბიციის მქონე პოლიტორგანიზაცია, რომელიც თვეებია, ემზადება ასპარეზზე გამოსასვლელად და დომენს ვერ დაირეგისტრირებს, კიდევ ჩემი ბრალია რამე?! არაფერი პირადული, უბრალოდ ბიზნესი, თან ლეგალური. ეს ჩემი ბიზნესია, ბატონო გოგა, რა „ნაციონალური მოძრაობა", რის „ნაციონალური მოძრაობა", ტოლი ნახეთ, გირჩი გააგორეთ, – წერს ქართველიშვილი.

სოციალური ქსელით გავრცელებულ ვიდეორგოლში დეპუტატი გოგა ხაჩიძე ამბობს:

– დღეს ქვეყანაში მოხდა სამი მნიშვნელოვანი ამბავი:

1. საზოგადოებამ გაიგო, რომ ჩვენს პოლიტიკურ ორგანიზაციას ჰქვია ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩი";

2. ქვეყანას ესტუმრა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი;

3. მესამე ამბავი არის სასაცილო. როგორც კი გაიგო საზოგადოებამ, რომ ჩვენ დავირქვით „გირჩი", „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები, მთავარი ოპოზიციური ძალის წარმომადგენლები გაიქცნენ „კავკასუსში" და დომენი **girchi.ge** დაირეგისტრირეს თავის თავზე, რომ ჩვენ არ ავიღოთ.

რა გინდათ? რამ გაგამწარათ? არც ერთიანი დავირქვით, არც ნაციონალური, არც მოძრაობა. დავირქვით „გირჩი". რაში გჭირდებათ ეს **girchi.ge**, რა გირჩის უნახავებივით იქცევით, რა გჭირთ, ვერ გავიგე?!– აცხადებს დეპუტატი. **(ipress.ge)**



## რა ქონებას ფლობენ გიგა ბოკერია და თამარ ჩერგოლეიშვილი — ცნობილი წყვილის შემოსავლები და ხარჯები



გიგა ბოკერიას ქონების შესახებ ბევრს საუბრობენ. ამბობენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერსა და უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს საკმაოდ კარგი ფინანსური შესაძლებლობა აქვს.

ბოკერიას დეკლარაცია ბოლოს 2013 წელს აქვს შევსებული, საიდანაც ირკვევა, რომ მეუღლესთან, თამარ ჩერგოლეიშვილთან ერთად თბილისში, პეკინზე ფლობს 60 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ ბინას. დეკლარაციაში გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ირკვევა, რომ უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს საკუთარი ავტომობილიც კი არ ჰყავს. ავტომობილი, რომლითაც ოჯახი სარგებლობს, არის **BMW** 120, რომელიც თამარ ჩერგოლეიშვილის საკუთრებაა.

რაც შეეხება ოჯახის საბანკო ანგარიშებს, ბოლოს გამოქვეყნებული დეკლარაციის თანახმად, გიგა ბოკერიას მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილს, „ეიჩესბისი საფრანგეთში" შემნახველ ანგარიშზე აქვს 119 000 ევრო, „თიბისი ბანკის" საკრედიტო ანგარიშზე 1403.70 დოლარი კრედიტი(+), ამავე ბანკში მიმდინარე ანგარიშზე 1622.47 დოლარი, „ლიბერთი ბანკის" მიმდინარე ანგარიშზე კი 6681.98 ლარი. რაც შეეხება თავად გიგა ბოკერიას, „თიბისი ბანკის" მიმდინარე ანგარიშზე მას 7799.56 ლარი აქვს.

დეკლარაციის თანახმად, გიგა ბოკერია სამეწარმეო საქმიანობაში არ მონაწილეობს, თამარ ჩერგოლეიშვილი კი 2009 წლის ნოემბრიდან „ტაბულას" დირექტორია.

გიგა ბოკერიას მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი ჟურნალისტია, ის იყო ჟურნალ „ტაბულას" და „ტაბულა **TV**"-ს ხელმძღვანელი, ჟურნალი „ტაბულა" ცოტა ხნის წინ დაიხურა. 2013 წელს გამოქვეყნებულ დეკლარაციაში მითითებულია, რომ ჩერგოლეიშვილი „ტაბულას" აქციონერია. გიგა ბოკერიამ უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე გაწეული ერთწლიანი მუშაობის სანაცვლოდ 85 790 ლარი, ხოლო თამარ ჩერგოლეიშვილმა ჟურნალ „ტაბულას" რედაქტორის ანაზღაურების სახით 132 000 ლარი მიიღო.

რაც შეეხება სესხებს: გიგა ბოკერია „თიბისი ბანკში" სარგებლობდა სესხის ხელშეკრულებით, რომლის ოდენობაც 27 000 ლარს შეადგენდა, ერთ წელიწადში გასავალის სახით 14837.56 ლარი გადაიხადა. თამარ ჩერგოლეიშვილი სამი სესხით სარგებლობდა, 52 500 ლარი „თიბისი ბანკში", 23 500 და 25 000 ლარი აღებული ჰქონდა „ლიბერთი ბანკში".

გიგა ბოკერიასა და თამარ ჩერგოლეიშვილის შვილები საზღვარგარეთ სწავლობენ. როგორც დეკლარაციაშია მითითებული, ლევან ბოკერიას სწავლაში – 10 000 დოლარი, ხოლო ეკატერინე კოპალეიშვილის განათლებაში 10 000 ევრო დაიხარჯა. **(ambebi.ge)**



## გირჩი: შიშველთესლოვანი მცენარეების სქესობრივი გამრავლების ორგანო — რა გამოხმაურება მოჰყვა ახალ პოლიტიკურ ცენტრს



– გირჩი ყველგან არის, სოფელშიც და ქალაქშიც, – ამის შესახებ ახალი პოლიტიკური ცენტრის „გირჩის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, გოგა ხაჩიძემ პარტიის სახელწოდების განმარტებისას განაცხადა. მისი თქმით, პოლიტიკური ცენტრის სახელწოდება მისი წარმომადგენლების ერთობლივი იდეაა.

– გირჩი ასოცირდება სიახლესთან, მარადმწვანესთან, საწყისთან. ის არის განახლების სიმბოლო. მრავალმხრივი განშტოება აქვს, მაგრამ ერთი ერთობლიობაა. ყველგან არის გირჩი – ქალაქშიც, სოფელშიც, – განაცხადა გოგა ხაჩიძემ.

ახალი პოლიტიკური ცენტრის გახსნას „ფეისბუკზე" უამრავი გამოხმაურება მოჰყვა. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

**ირაკლი გაფრინდაშვილი:**

– არაფერი წმინდა არ დატოვეთ, ერთი გირჩის მურაბა მიყვარდა და დამრჩა ნაძვის მტვერი...

**არჩილ გამზარდია:**

– „დამოუკიდებელ კარალიოკთა ცენტრი" არავის შეუქმნია თუ დაიტაცეს ესეც?

**ირა ჭელიძე:**

– პარტია ეკალა. ლეიბორისტული მიმართულების იქნება.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი:**

– წიწვები – ახალი პოლიტიკური ცენტრის „გირჩას" („გირჩის") ახალგაზრდული ორგანიზაცია.

**ნინო ლეჟავა:**

– გირჩას აქვს ორი მნიშვნელობა: (ბოტან.) 1) შიშველთესლოვანი მცენარეების სქესობრივი გამრავლების ორგანო. შედგება წაგრძელებული ღერძისა და მასზე სპირალურად განლაგებული ქერქისებრი სასპორე ფოთლების – მიკრო და მეგასპოროფილებისგან. მდედრობით გირჩს თესლის მომწიფების პერიოდში ქერქი უხევდება. 2) მურყნისა და სვიის მდედრობითი ყვავილედი და ნაყოფედი, რომელთა წაგრძელებულ ღერძზე მფარავი ფოთლებია განლაგებული. მფარავი ფოთლის იღლიაში ყვავილები სხედან.

**მერაბ მეტრეველი:**

– ახლა გასაგებია, რატომ წამოვიდნენ „ნაციონალებიდან" – კი გაგიტყდება ქინძობა, როცა გირჩობა გინდა!

**ლექსო ლეკიაშვილი:**

– მოკლედ, ამ ხნის კაცი ვარ, ამდენი რამე მინახავს და ქინძის თესლისგან გირჩი ამოსულიყოს, პირველად მესმის.

**დათო გოგიშვილი:**

– გოგა ხაჩიძეს დაბლოკილი ვყავარ „ფეისბუკზე" და ჩემგან გადაეცით: პოლიტიკურ პარტიაზე „გირჩი" დაურქმევია და ჩემი ბიოგრაფიიდან გამომდინარე გირჩზე საავტორო უფლება მე მეკუთვნის.

**თამარა ჩერგოლეიშვილი:**

– ჩამჩა აჯობებდა.

**ზვიად კორტავა:**

– ვინ თქვა, ქართველებს ეკოლოგია და მცენარეები მაინცდამაინც გულზე არ ახატიათო? ეს კვირა ქინძით დაიწყო და „გირჩით" გაგრძელდა. სულ მალე, ალბათ, ქართულ პოლიტიკაში ბუტკოსა და მტვრიანების დაბადებასაც მოვესწრებით. **(ambebi.ge)**

## სირიის მერე რუსეთის სამხედრო ძალა შეიძლება ავღანეთშიც ისევ გამოჩნდეს — რას აპირებს კრემლი?!



რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, კრემლი შეშფოთებულია ავღანეთში შექმნილი ვითარებით და „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლების პოზიციების გაძლიერებით. მათივე თქმით, რუსეთი „ავღანელ ძმებს" „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარება, სირიაში კი რუსეთის შეიარაღებული ძალები მანამდე დარჩებიან, სანამ ამას საჭიროდ კრემლი მიიჩნევს.

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ანატოლი ანტონოვმა განაცხადა, რომ „ისლამური სახელმწიფოს" გამო, სიტუაცია გამწვავდა ავღანეთის სასაზღვრო რაიონებში, კონკრეტულად კი ტაჯიკეთისა და თურქმენეთის საზღვრებთან. სწორედ ამიტომ, რუსეთი დაიწყებს ავღანეთის დახმარებას.

– ავღანეთში „ისლამური სახელმწიფოს" გავლენის მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება, ისინი უკვე გამოჩნდნენ 34-დან 25 პროვინციაში. გვაფიქრებს, ავღანეთის ჩრდილოეთით ტაჯიკეთისა და თურქმენეთის საზღვართან ბოევიკთა გამოჩენა. ამავდროულად დაჯგუფება ცდილობს მეზობელ პაკისტანში ფეხის მოკიდებას, სადაც „ისლამური სახელმწიფოს" ემისრები ცდილობენ, გადაიბირონ მოქალაქეები და დაამყარონ კონტაქტი სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებთან. სწორედ ამიტომ, ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, რუსეთი გაუწევს შესაძლებელი მოცულობის დახმარებას ავღანეთის ხელისუფლებას და ასევე, ჩართავს პარტნიორებს, როგორც კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების, ასევე, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციიდანაც, – განაცხადა ანტონოვმა

მისი თქმით, ვითარების სიმწვავეს აჩვენებს აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას გადაწყვეტილებაც, შეაჩეროს ავღანეთიდან სამხედრო კონტინგენტის გაყვანა.

ანტონოვის განცხადებით, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალები იმ დრომდე იქნებიან სირიის ტერიტორიაზე, სანამ ასადი აწარმოებს ბრძოლებს მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ. **(kvirispalitra.ge)**

## „ქინძი ვიყო, თუ ესენი მაგარი ქინძები არ იყვნენ!..“ — ნანუკა ჟორჟოლიანი



ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი სოციალურ ქსელში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს აფასებს:

1. რუსმა მესაზღვრეებმა, მამისონის უღელტეხილზე, რუსული დროშა აღმართეს.

2. პაატა ზაქარეიშვილი კრემლის ახალ გეგმას აჟღერებს.

3. „გაზპრომს" ვაძლევთ.

4. ისევ გვისმენენ და ამ მოსმენების საფუძველზე კონტრდაზვერვა არკვევს, ხელისუფლების დამხობა როგორ უნდა მომხდარიყო „რუსთავი 2"-ის ეზოში.

5. ნარმანიამ ბოდიში „გადაიხადა". გადათხრილი ქუჩები ჩამიდესო, რომელიც მილიონები დაუჯდა ქალაქის ბიუჯეტს.

6. მინისტრმა თქვა, „გაზპრომის" შემოსვლა ქვეყნისთვის ცუდიაო და სამინისტროს უუქმებენ.

ქინძი ვიყო, თუ ესენი მაგარი ქინძები არ იყვნენ! თან იმაზე მავნებლები, ვიდრე ჩანან, – წერს ნანუკა. (ნიუპოსტი)

**არა და ვინმემ რომ აკადროთ ეს სიტყვა, თვალებს დასთხრიან, ეს როგორც მინიმუმ, მაგრამ რაც მამა და მარჩენალმა ახსენა, გადაქინძდა მთელი „ნაცმოძრაობის" ნაზირვეზირობა. ჰოდა, ისე შეგვაძულეს ეს ოხერი ქინძი, ლამის მწნილი გირჩებისგან გავაკეთებინოთ დიასახლისებს. თუმცა არა, გირჩიც ისე გაუფასურდება სულ მალე, ციყვებიც კი აღარ დააკარებენ პირს...**

# თქვენ გგონიათ, პარტიების სულელური სახელები მხოლოდ ქართული პოლიტიკის სენია? არაფერიც...

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



ძალიან მოსალოცი ამბავი გავიგეთ, მეგობრებო, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ახალი პოლიტიკური პარტია – „გირჩი" შეემატა (აქ ტაშისა და დაფდაფების ხმა მოუხდებოდა!). პირველი ოფისი ქუთაისში გაიხსნა – პარტიის „მთავარი გირჩები" ის ცნობილი ოთხეულია, რომელმაც ცოტა ხნის წინ „ნაციონალური მოძრაობა" დატოვა და ცალკე პარტიის შექმნაზე მუშაობდა. „გირჩის" ხელმძღვანელობას კიდევ ბევრ „სიგირჩეზე" აქვთ საუბარი თავიანთ ოფიციალურ განცხადებაში, თუმცა საინტერესო აქ არის თვითონ პარტიის სახელწოდება, რომელზეც ოთხეული ერთობლივად შეჯერებულან.

რატომ მაინცდამაინც გირჩი და არა, დავუშვათ, ქვასანაყი ან ფასკუნჯი. ნუ, სეკატორი მაინც – მაგითი ხო მაგრად სხლავენ ხოლმე...

– გირჩი ასოცირდება სიახლესთან, მარადმწვანესთან, საწყისთან. ის არის განახლების სიმბოლო, მრავალი განშტოება აქვს, მაგრამ ერთი ერთობლიობაა – გირჩი ყველგანაა, ქალაქშიც და სოფელშიცო, – გამოაცხადა გოგა ხაჩიძემ და ჩაიღიმილა...

რა საყვარლები და მხიარულები არიან...

ერთი ანეკდოტი გამახსენდა ახლა (არა, თემას კი არ ეხება, უბრალოდ, აი, უცებ წამომიფრინა), რომელიც დაახლოებით, ასე ჟღერს: ბებია ეუბნება შვილიშვილს: გაგიცხელო საჭმელი? – კი, ბებო, გამიცხელე... – ჩაისაც დალევ, ბებო? – კი, ბე, დავლევ. ნამცხვარიც მოგიტანო, ბებიკო? – კი, ბები, მომიტანე... –ოხ, როგორ მიყვარს, დაბოლილი როცა მოდიხარ, შვილო...

ჰოდა, იმას ვამბობდი...

როგორც კი „ნაცმოძრაობას" გაუგია, რა დაარქვა ამ ოთხეულმა საკუთარ პოლიტიკურ ცენტრს, მაშინვე დაურეგისტრირებია ამავე სახელწოდების დომეინი (ანუ ინტერნეტსაიტი) „გირჩი.ჯი", ასე განაცხადა ხაჩიძემ და დაამატა, რომ „ნაცმოძრაობის" მხრიდან ეს საქციელი სასაცილოდ მიაჩნია... და საერთოდ, ბევრი რაღაც მიაჩნია ამ ბოლო დროს სასაცილოდ... სულ იცინის, სულ მხიარულობს, აგერ „გირჩიო", ხვალ შეიძლება მოძრაობა „ელვის პრესლის ფანები" ჩამოაყალიბოს, ან არასამთავრობო ორგანიზაცია „ძირს ლიფი! თავისუფლება ძუძუებს" შექმნას და მხარდამჭერებთან ერთად შუა ქუჩაში დაწვას ასობით ლიფი...

ისე, პარტიისთვის სახელწოდების შერჩევის პროცესი იქნებოდა მაგარი საყურებელი, უფრო სწორად, იმ დროს გაჟღერებული ვერსიები...

სიმართლე გითხრათ, ამ ახალი პარტიის „გირჩობებზე" დიდი ინტერესით ვაპირებ თვალის მიდევნებას და ზოგადად, კარგად უნდა დავაკვირდე, რამდენ „სიგირჩეს" განახორციელებენ...

**მანამდე კი „ალია" კომენტარისთვის გოგა ხაჩიძეს დაუკავშირდა, თუმცა მან სატელეფონო საუბარზე უარი განაცხადა:**

– წაღვერიდან თბილისში კი არა და, ქუთაისიდან თბილისში მოვდივარ, გზაში ვარ ახლა, საქესთან ვზივარ და ვერ დაგელაპარაკებითო...

თანო, თქვენ რომ ადრე ინტერვიუ ჩაწერეთ ჩემთან, წავიკითხე და არ მომეწონაო (არადა, სიტყვასიტყვით გავშიფრე მაშინ ის ინტერვიუ, რომელიც მარიხუანის კანონპროექტის დამტკიცებას ეხებოდა) და ახლა აღარ მოგცემთ ინტერვიუსო. ხაჩიძესთან ამ მცირე დიალოგის დროს ყურმილის მეორე ბოლოდან სიცილის ხმები მესმოდა – არაა გამორიცხული, გოგასთან ერთად მანქანაში ზურაბ ჯაფარიძე, გიორგი მელაძე და პალიკო კუბლაშვილი (ან აქედან რომელიმე) ისხდნენ და ახალი შესულები იყვნენ „ნაძვნარში", რომელსაც გზადაგზა მოჰქონდა და მოჰქონდა...

თქვენ გგონიათ, პარტიების სულელური სახელები მხოლოდ ქართული პოლიტიკის სენია? არაფერიც – დავინტერესდი სხვა ქვეყნების პარტიების უცნაური, სასაცილო და უჩვეულო სახელწოდებებით და ინტერნეტში რამდენიმე ასეთი პარტიაც მოვიძიე:

მაგალითად, დანიაში არის ერთი პარტია, რომლის სახელწოდებაც დაახლოებით, ასე ჟღერს: „სამუშაოზე კეთილსინდისიერად მოზარმაცე უსაქმურების კავშირი". 1994 წლის პარტიის წინასაარჩევნო დაპირებები ისეთივე „ბრძნული" იყო, როგორიც სახელწოდება – დანიის ყველა მოქალაქე ახალ წელს უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო საუკეთესო საჩუქრებით, სკვერებში არსებულ ტბებში მოცურავე ბატებისთვის საჭმელად მეტი პურის ნამცეცი გამოყოფილიყო, არჩევნების დამთავრების შემდეგ კი, პარტიის ლიდერმა მხარდამჭერები ლუდითა და ძეხვით დაასაჩუქრა...

კანადაში 2000 წლამდე არსებობდა პარტია „ექსტრემალური რესლინგი", რაც თავ-პირის ნაყვას გულისხმობდა. მისი წევრები (ძირითადად, სპორტსმენები და მებრძოლები) სრული სერიოზულობით ეკიდებოდნენ პოლიტიკას და ინტერვიუებს იძლეოდნენ, მაგალითად, შეიარაღების კონტროლზე კანადის შიდაპოლიტიკურ ჭრილში და იმაზეც, იქნებოდა თუ არა ჰუმანური, რომ ტერორისტი ტყვეები ატომური ბომბით აეფეთქებინათ (ისინი რა „ნაძვნარში" დადიოდნენ ასეთში, ეს გამაგებინა)...

კანადაშივე 1993 წლამდე არსებობდა პარტია „მარტორქა", რომელიც 1963 წელს დაარსდა და 40 წელი იარსება...

პოლონეთში არსებობდა „ლუდის მოყვარულთა" პარტია, თუმცა დიდხანს ვერ იარსება; რუმინეთში საერთოდ „ლამაზების პარტია" არსებობს, რომლის ლიდერიც მაგარი „ნაშაა" და რატომღაც არა საკუთარი ქვეყნის, არამედ უკრაინის პრეზიდენტობას უმიზნებს (იმხელა ძუძუები აქვს, გზა დალოცვილი აქვს, ფაქტობრივად. თან თუ მიშა პრემიერი გახდა, მით უმეტეს)...

უკრაინა ვახსენე და იქ „სალას მოყვარულთა პარტია" არსებობდა, პარტიის წევრები სალასგან აცხობდნენ ტორტებს და მოსახლეობას აძლევდნენ რჩევებს, როგორ უნდა გამოეკვებათ ღორები სწორად... ავსტრალიაში „სექსის პარტია" არსებობს, რომლის ლიდერი (ასევე, დიდძუძუებიანი) ქალი აცხადებს, რომ მოსახლეობას სექსის არ უნდა ეშინოდეს...

უფრო მეტად გადაგრევთ – ჰოლანდიაში 2006 წელს პედოფილების პარტია დაარსდა, სახელწოდებით: „თანაგრძნობა, თავისუფლება და მრავალფეროვნება"...

მოკლედ, კიდევ ბევრი ასეთი „ღმერთო, ჩემო" სახელწოდების პარტია არსებობს მსოფლიოში, მაგრამ თითოეულ მათგანზე ვერ დავწერ, დიდ დროს წაიღებს... სამაგიეროდ, „ტკბილი და საინტერესო ლუკმა" ბოლოსკენ შემოვინახე – კანადაში არსებობს პარტია „რადიკალური მარიხუანა", რომელსაც მხოლოდ ორი დევიზი აქვს: „მოხდეს მარიხუანის ლეგალიზაცია, მოხდეს რევოლუციის ლეგალიზაცია"...

რა იქნება პარტია „გირჩის" დევიზი და პოლიტიკური ნაბიჯები, ამას ნელ-ნელა გავიგებთ, მაგრამ მთელი საქართველო რომ ამ „გირჩებზე" ლადაობს, ფაქტია.

არა, მაინცდამაინც, ეს გირჩი რა იყო, ჰა?..




# „ბრიტანულ ცენტრში" – ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნის გარანტი „ქალანის მეთოდი"

ბრიტანული ცენტრი
BRITISH CENTRE

საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს დანარჩენ ძალიან ბევრ ქვეყანაში ინგლისური ენა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა მეთოდით ისწავლება. დედაქალაქის თითქმის ყველა ცენტრალურ უბანშია „ბრიტანული ცენტრის" ფილიალები, სადაც „ქალანის მეთოდით" ასწავლიან ინგლისურ ენას უკვე 12 წელია. აქ მიღებული ცოდნა საოცრების ტოლფასია და მსმენელებს უზრუნველყოფს არა მარტო ინგლისური ენის, არამედ, ზოგადად, ჩვენი საუკუნის გამოწვევების შესაბამისი განათლებით.

ბრიტანულ ცენტრში არსებული „ქალანის მეთოდი" მორგებულია ნებისმიერი ასაკის მსმენელისთვის აკადემიური მიზნების, სამსახურებრივი საჭიროებისა თუ ყოველდღიური სოციალური თუ პრაქტიკული კომუნიკაციისთვის.

ქეთევან ჩემია – „ბრიტანული ცენტრის" მსმენელი: „მეხუთე საფეხურის" დამამთავრებელი ტესტი ჩავაბარე და თავს უბედნიერესად ვგრძნობ, „თურმე, სწავლება შემძლებია". ამასთანავე, საგრძნობლად გამიუმჯობესდა მეხსიერება, რომელსაც გაცილებით ადრეულ ასაკშიც არ ვემადლიერებოდი. ყველაფერი ჩემი კი არა, ჩემი მასწავლებლის შორენა აფციაურის მცდელობის დამსახურებაა და მზად ვარ, ხმამაღლა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო: „ინგლისური ენის გაკვეთილებზე უბრალოდ კი არ დავდივარ, არამედ ენას ვსწავლობ". პირადად მე აღმაშენებლის ფილიალის მენეჯერის ნათია ლომიძისა და ნინო დუგლაძის მიერ ვარ უზრუნველყოფილი აუცილებელი რესურსებით, კერძოდ, საჭირო ლიტერატურითა და სათანადო აუდიოჩანაწერებით, რომელიც ყველა ფილიალში ყველა მსმენელს ეტაპობრივად უსასყიდლოდ გადაეცემა. აქ ყველა მსმენელი განსაკუთრებული მზრუნველობით არის გარემოცული.

შორენა აფციაური: „ქალანის" მეთოდით სწავლება „ბრიტანული ცენტრის" ხარისხის გარანტიაა. ჩვენთან ასეთი სლოგანია: „რადგან აქ ხართ, ნუ იღელვებთ, დარწმუნებული იყავით, შედეგი გარანტირებულია", რასაც წლების განმავლობაში ამართლებს „ბრიტანულ ცენტრში" დანერგილი პრაქტიკა.

„ქალანის მეთოდის" უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის მსმენელს უვითარებს სწრაფად, თარგმანის გარეშე აზროვნების უნარ-ჩვევებს. ამ ენაზე რეფლექსურად მეტყველების უნარი, რაც გამორიცხავს მშობლიურ ენაზე თარგმნის მოთხოვნილებას და ჩვევას, რაც უცხო ენაზე ბუნებრივად და თავისუფლად მეტყველების და იმის საწინდარია, რომ მსმენელმა საკუთარი სამშობლოს ეროვნული ღირებულებების შესაბამისად წვლილი შეიტანოს მსოფლიოს განვითარებაში.

ჩვენს ყველა ფილიალში „ქალანის" მეთოდით ინგლისური ენის სწავლების მსურველებს ექვსი უფასო გაკვეთილისგან შემდგარ საცდელ კვირას სთავაზობენ სრულიად უფასოდ.

ისწავლეთ „ქალანის მეთოდით", შედეგი გარანტირებულია.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## აი, აქ კი მართალია გივი — ნახეთ, რას ამბობს და მიხვდებით



„ნაციონალური მოძრაობის" წევრი გივი თარგამაძე „ფეისბუქში" წერს, რომ მოქმედი ხელისუფლების შესაცვლელად რევოლუცია საჭირო არ იქნება.

– ღარიბაშვილის, კალაძის, სუბარისა და სხვა უნიათოთა საყურადღებოდ – ნუ ბორგავთ, ყველაფერი არჩევნებით დამთავრდება. სირების მთავრობის ხელისუფლებიდან ჩამოცილებას რევოლუცია არ დასჭირდება.

**P.S.** ქინძი – ბალახია, სირი – ჩიტი. ზოგიერთ შემთხვევაში იყენებენ ერთი და იგივე მნიშვნელობით. (news.ge)

**„სირების მთავრობის ხელისუფლებიდან ჩამოცილებას რევოლუცია არ დასჭირდება" — გაიხსენეთ, ერთი, 2012 წელს „ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებას როგორ ჩამოაცილეს — არ გახდა საჭირო რევოლუცია, ასე არ იყო? ჰოდა, თავად აღიარა ის, რაც აქამდე ჩვენ ისედაც გადასარევად ვიცოდით...**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# რისთვის ჩამოვიდა პრეზიდენტი ალიევი და რატომ არ დახვდა აეროპორტში პრეზიდენტი მარგველაშვილი?



„როდესაც კახი კალაძემ განაცხადა, ჩვენ აზერბაიჯანი საკმარის გაზს ვერ გვაწვდისო, ბაქოში თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს. ესენი სკანდალის შემდეგ კი ჩავიდნენ აზერბაიჯანში, მაგრამ ეჭვები მაინც ვერ გაფანტეს“

საქართველოში აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ჩამოვიდა. აზერბაიჯანის დელეგაციას აეროპორტში საქართველოს ვიცე-პრემიერი კახი კალაძე და პრეზიდენტ მარგველაშვილის ადმინისტრაციის წევრები დახვდნენ. ეს ერთი „ჩეპე“. წესით, ალიევს მარგველაშვილი უნდა დახვედროდა. სულ მცირე, ირაკლი ღარიბაშვილი მაინც, მაგრამ, როგორც ვიცით, ის ამჟამად ლიტვაში იმყოფება ოფიციალური ვიზიტით. აზერბაიჯანის პრეზიდენტის სტუმრობის შესახებ ჯერ კიდევ 10 ოქტომბერს გახდა ცნობილი, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი ბაქოში იმყოფებოდა. როგორც ამბობენ, მანამდე ფარულად კახი კალაძეც ჩავიდა მასთან მოსალაპარაკებლად. თუ რაზე, ამის შესახებ ცოტა ქვემოთ... ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ალიევი ხელს აწერს ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების დეკლარაციას პოლიტიკის უსაფრთხოების, სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანზიტო, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში.

სინამდვილეში რა ხდება და რატომ არის ასეთი ხშირი მისვლა-მოსვლა აზერბაიჯანსა თუ საქართველოში?

**„ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა:**

**— ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, რატომ არ დახვდა ილჰამ ალიევს პრეზიდენტი მარგველაშვილი აეროპორტში?**

– ეს მართლაც მნიშვნელოვანი ვიზიტია. არა მხოლოდ ჩვენი მეზობელი პრეზიდენტი ჩამოვიდა, არამედ იმ ქვეყნის ხელმძღვანელი, რომელიც არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი. ვერავინ უარყოფს დღეს აზერბაიჯანი არის ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე, მაგათი გაზით ვთბებით და ვარსებობთ. გარდა ამისა, ნამდვილად არ არის არც ხელწამოსაკრავი პრეზიდენტი და არც ხელწამოსაკრავი ქვეყანა. ჩემთვის

**თვალშისაცემია ჩვენი ქვეყნების დიპლომატიური სამსახურების მიერ გათამაშებული ცუდი კომბინაცია. შეიძლება ალიევს არ შეეძლო ამ ვიზიტის გადადება, მაგრამ ჩვენთვის ბალტიისპირეთი დღეს არ არის ისეთი პრიორიტეტი, რომ პრემიერ-მინისტრი თბილისში არ დაბრუნებულიყო. ჩვენთვის აზერბაიჯანთან ურთიერთობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანასთან.**

**— კი ბატონო, პროტოკოლიც გასაგებია, საგარეო საქმეთა სამინისტროს სისუსტეც გასაგებია, დიპლომატიური სამსახურების უვიცობაც ვიცით, მაგრამ ჩვენი პრეზიდენტი ხომ უნდა გამოსულიყო იმ პომპეზური რეზიდენციიდან და ნორმალურად დახვედროდა?**

**— შენ ნუ გამორიცხავ, რომ მარგველაშვილი საერთოდ ამოაგდეს „სასტავიდან“ და არ გაუშვეს აეროპორტში. ძალიან კარგად ვიცით, როგორი დაძაბული ურთიერთობაა მთავრობასა და პრეზიდენტს შორის, აი, სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული,**

არც იმას გამოვრიცხავ, რომ თვითონ ალიევს არ ჰქონოდა სურვილი ისეთ პრეზიდენტთან შეხვედრისა, რომელიც ვერაფერს ვერ წყვეტს და ფორმალურად არსებობს. მისთვის ვიცე-პრემიერი კახი კალაძე უფრო საინტერესოა.

**ჯერ ერთი, აზერბაიჯანში იყო კალაძე ჩასული, შემდეგ პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი და მათ მოიწვიეს საქართველოში. აქ**



**მარგველაშვილი უკვე კონტექსტიდან არის ამოვარდნილი.**

თუმცა გარედან თუ შევხედავთ მოვლენებს, ეს ყველაფერი ძალიან ცუდად ჩანს. გავა დრო, არავის ემახსოვრება ის, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა მარგველაშვილს მთავრობასთან, მაგრამ დაფიქსირდება, რომ ალიევს დახვდნენ ცუდად. ორი ქვეყნის ისტორიაში დარჩება მხოლოდ ფაქტი. აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სიტუაცია ახლა არ დაძაბულა,

**ეს მოხდა მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილი იყო პრემიერ-მინისტრი და თავისი დელეგაციით მოუმზადებელი ჩავიდა აზერბაიჯანში.**

მაშინ ჩვენი დელეგაციის წევრები მიდიოდნენ თითქოს საქმის გასარჩევად, ანუ გაზზე ფასების დასაკლებად. ეს მოულოდნელი აღმოჩნდა აზერბაიჯანული მხარისთვის და ამას მოჰყვა დიდი აჟიოტაჟი პრესაში. მაშინ ბაქოში აცხადებდნენ, რომ ქართველებმა ისიც კი არ იციან, როგორ ხდება ბუნებრივ აირზე ფასწარმოქმნაო. აზერბაიჯანისთვის დღეს ერთი რამ არის მთავარი, მართალია, ეს ქვეყანა რუსეთთან ურთიერთობას არ იფუჭებს, მაგრამ არც იმას მიესალმება, რომ რუსეთის გავლენა უფრო გაძლიერდეს კავკასიაში და ალიევმა დაკარგოს ლიდერის ფუნქცია.

**— ოფიციალურად აცხადებენ, ალიევის ვიზიტი „გაზპრომთან“ არ არის კავშირშიო, მაგრამ მეეჭვება, ამაზე არ ესაუბრათ.**

– როდესაც კახი კალაძემ „გაზპრომზე“ წამოიწყო ლაპარაკი, ესეც მოულოდნელი იყო აზერბაიჯანელებისთვის. შეიძლება რასაც კალაძე ლაპარაკობს, ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია, იგივე უფასო გაზი ტრანზიტის სანაცვლოდ, მაგრამ ეს მოულოდნელი მაინც არ უნდა ყოფილიყო. მსოფლიოში არსებობს ცნება – „ენერგეტიკული დიპლომატია“. სხვათა შორის, ეს საგანი რუსეთის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება. ვეჭვობ, ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროში ამ სფეროს ერთი სპეციალისტი მაინც არსებობდეს. აღარაფერს ვამბობ ენერგეტიკის სამინისტროზე. როდესაც კახი კალაძემ განაცხადა, ჩვენ აზერბაიჯანი საკმარის გაზს ვერ გვაწვდისო, ბაქოში თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს. ესენი სკანდალის შემდეგ კი ჩავიდნენ აზერბაიჯანში, მაგრამ ეჭვები მაინც ვერ გაფანტეს. აი, ამიტომ ჩამოვიდა ალიევი თბილისში, რათა საბოლოოდ დალაგდეს სიტუაცია. ჩვენ ჯერ არ ვიცით, დახურულ კარს მიღმა კიდევ რაზე იქნება ლაპარაკი მთავრობის წევრებთან, ან რა ტონალობაში წარიმართება საუბარი.

**ვიზიტის დამთავრების შემდეგ ორივე მხარე ჩვენთვის გასაგონად ილაპარაკებს მეგობრობაზე, ძმობაზე, ერთობაზე და ა.შ. ეს იქნება ჩვეულებრივი დიპლომატიური რევერანსები. ის, რომ ჩვენსა და აზერბაიჯანს შორის ცოტა ხნის წინ შავი კატის აჩრდილი გამოჩნდა, ყველამ დავინახეთ**

და ვერავინ უარყოფს.

რამდენიმე დღის წინ აზერბაიჯანულ პრესაში შევარდნაძის პერიოდიც კი გაიხსენეს, როდესაც ქართულმა მხარემ ჰეიდარ ალიევს პრინციპულად დაუყენა საკითხი, თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის გაზსადენიდან ამდენი და ამდენი უნდა მოგვცეთო.

**მაშინ უფროსი ალიევი შევარდნაძემ დაითანხმა, ახლა უმცროსი ალიევი ჰკითხავს ჩვენს მთავრობას, თუკი გაზი აქამდე არ გყოფნიდათ, ამაზე რატომ არაფერი მითხარით, „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები რა საჭირო იყოო?!.**

კულუარებში საუბრობენ, რომ შეიძლება არჩევნებამდე მოხდეს მოსახლეობისთვის გაზზე ფასის მომატება, ამიტომ ქართული მხარე ყველანაირად ცდილობს, აზერბაიჯანი დაიყოლიოს, რომ ეს არ მოხდეს და როგორმე არსებული ფასი შენარჩუნდეს.

**— ბატონო სოსო, ერთი ვერსიით, შესაძლებელია, ალიევს იმიტომ არ დახვდა მარგველაშვილი, რომ ეს კაცი ბოლო დროს ხშირად აკრიტიკებს ევროპას, ევროკავშირსა. უკვე ოფიციალურად აცხადებს, ჩვენს საქმეებში ცხვირს ნუ ჰყოფთო... როგორც ვიცით, ჩვენი პრეზიდენტი პროდასავლურ კურსს „აწვება“. იქნებ, ამიტომაც შეიკავა თავი?**

**— მე ასე არ მგონია, ალიევი ევროკავშირზე ჯერ კიდევ წინა არჩევნების დროს გაბრაზდა, როცა გააკრიტიკეს, აზერბაიჯანში არც ოპოზიცია არსებობს და არც დამოუკიდებელი მედიაო. მას უკიჟინებდნენ, შენ აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრი ხარ და რეკომენდაციებს არღვევო. მაშინ ალიევმა თქვა, — თქვენი დედაც ვატირე, აღარც თქვენი აღმოსავლური პარტნიორობა მინდა და არც ევროკავშირი, თავი დამანებეთო. ალიევს ევროპაში განიხილავენ იგივე კონტექსტში, როგორც ნაზარბაევსა და ლუკაშენკოს. მიაჩნიათ, რომ ის არის დიქტატორი, თუმცა მათგან განსხვავებით, მან პრეზიდენტობა მემკვიდრეობით მიიღო. აი, ეს მემკვიდრეობა აღიზიანებთ ევროპაშიც და ამერიკაშიც. არც ნაზარბაევს, არც კარიმოვს, არც ლუკაშენკოს თანამდებობები მემკვიდრეობით არ მიუღიათ, ეს არის პირველი შემთხვევა პოსტსაბჭოურ სივრცეში.**

ალიევთან ევროპას სულ სხვა ანგარიშები აქვს, ლუკაშენკოს უფრო კარგი თვალით უყურებენ, ვიდრე ალიევს. ასე რომ ყოფილიყო, როცა ლუკაშენკო ჩამოვიდა, იმასაც არ დახვდებოდნენ პომპეზურად.

**— ანუ, დასავლეთის ფაქტორმა იმუშავა... როგორ ფიქრობთ, ალიევი „ნომერ პირველ მოქალაქეს“ არაოფიციალურად შეხვდება?**

– ჩემი აზრით, ალიევს ფარულად შეახვედრებენ. რაღაც ვახშამივით იქნება და იქ დაილაპარაკებენ. ასეთი რაღაცები ყოველთვის ხდება ხოლმე.

**— გადავიდეთ მეორე საკითხზე, რა შეიძლება ჩამოგვიტანოს ირაკლი ღარიბაშვილმა ბალტიისპირეთიდან?**

– ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა ევროკავშირის წევრია, ასევე, ნატოს წევრია და ყოველთვის გვიჭერენ მხარს ნებისმიერ საკითხში. ამ სამი პატარა ქვეყნის ღირებულება ჩვენთვის მეტი არაფერია, აქ მიდის ინტერესების მოსინჯვა, ამ ქვეყნების ხელმძღვანელები უფრო არიან საქმის კურსში იმის თაობაზე, რა გველის ჩვენ მომავალი წლის მაისში, ვარშავაში, გვაძლევენ მაპ-ს თუ არ გვაძლევენ. თუ ნატოს მიხურულ კარსმიღმა რამე ხდება, მათ კარგად იციან. იქ დიდი საუბრები და კამათი მიდის, შენ წარმოიდგინე, ზოგიერთი ქვეყანა პირდაპირ ითხოვს, საქართველო ნატო-ში მივიღოთო, ზოგი მაპ-ის მოცემას უჭერს მხარს, ზოგი წინააღმდეგია. მართალია, ბალტიისპირეთის ქვეყნებს არავითარი გავლენა არ აქვთ ამ სფეროში, მაგრამ ამბების გამოტანა მაინც შეუძლიათ. ამიტომ მათთან კარგი ურთიერთობა ჩვენ ყოველთვის გვჭირდება.

## სტიქიით დაზარალებული ვერეს ხეობის მაცხოვრებლების მტკიცებით, ხეობის ფარულად გასხვისების გამო, მათ გამოსახლება ემუქრებათ

სტიქიის შედეგად დაზარალებული ვერეს ხეობის მაცხოვრებლების განცხადებით, ხეობის 4 500 კვადრატულამდე მიწის ნაკვეთის ფარულად გასხვისების გამო მათ გამოსახლება ემუქრებათ.

დაზარალებულებმა ადვოკატთან ერთად სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს. როგორც აღინიშნა, ათამდე ოჯახის საცხოვრებელი სახლები, კუთვნილი მიწები და ეზოები თაღლითური გზით, სავარაუდოდ, სამკვიდრო მოწმობის გაყალბებით, მათივე მეზობელმა ბელა გუბელაძემ გადაიფორმა, მოგვიანებით კი ვინმე ქეთევან ჯავახიშვილზე გადაასხვისა. ამ უკანასკნელმა კი, ადვოკატ თამუნა ქუთათელაძის ინფორმაციით, ბინების მიხედვით ქონება საკადასტრო კოდებად დაყო, რათა შესაძლებელი ყოფილიყო, რეალობა ეჩვენებინა, რომ ვითომდა მიწები და სახლები ბელა გუბელაძეს ეკუთვნოდა. საბოლოო ჯამში, ადვოკატის თქმით, ვერეს ხეობის 4 500 კვადრატულამდე მიწის ნაკვეთი და 7 სახლი მიითვისეს.

სტიქიის გამო ციური ბექაურის სახლი მთლიანად განადგურდა. ასევე, დაზარალდნენ ვერეს ხეობის სხვა ოჯახებიც. მერია მათ კომპენსაციას დაჰპირდა, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანები დაზარალებულთა რიცხვში არ ირიცხებიან, რადგან ქონება ბელა გუბელაძის სახელზეა რეგისტრირებული და კომპენსაციასაც ის ითხოვს. მოთხოვნის მიუხედავად, მერიას კომპენსაცია ამ დრომდე არც ბელა გუბელაძისთვის და „მის მიერ წარმოშობილი ე.წ. კეთილსინდისიერი მყიდველებისთვის“ არ გადაუცია.

– 10-მდე ოჯახი დარჩენილია კომპენსაციის გარეშე და მოსალოდნელიც კი არ არის, რომ ისინი რაიმე სახის კომპენსაციას მიიღებენ, ვინაიდან მათი საცხოვრებელი სახლები კუთვნილი მიწები და ეზოები, რომელიც მათ ჰქონდათ საკუთრებაში, თაღლითური გზით სავარაუდოდ, სამკვიდრო მოწმობის გაყალბებით გადაიფორმა ბელა გუბელაძემ. შემდეგ მან რამდენიმე თვეში, გადაასხვისა ეს მიწა ქეთევან ჯავახიშვილზე, რომელმაც ბინების და მიხედვით, დაყო საკადასტრო კოდებად, ვინაიდან შესაძლებელი ყოფილიყო, რომ რეალობა ეჩვენებინა, ვითომდა ეს მიწები, სახლები ბელა გუბელაძეს ეკუთვნოდა. ის პირები, რომლებიც დღევანდელ დღეს რეალურად არიან დაზარალებულები: ბექაურების ოჯახი, გელაშვილების, ზარდარიანების, ოქროპირიძეების, ბერძენიშვილებისა და სხვების ოჯახები, თქვეს, რომ ვითომ მათი მდგმურები არიან. ე.წ. კეთილსინდისიერ მყიდველს ქეთევან ჯავახიშვილს, ბელა გუბელაძესა და ქეთევან ჯავახიშვილის მიერ წარმოშობილ ე.წ. კეთილსინდისიერ მყიდველებს, რომლებსაც 60 კვადრატული მიწის ფართობები შეძენილი აქვთ 30 000 დოლარად, თითოეულს და, ასევე, იმ ადვოკატების, რომლებიც მოქმედებდნენ, ჰქონდათ ინფორმაცია, რა მდგომარეობაც იყო, იცოდნენ, ვინ იყო რეალური მემკვიდრე, ვისი იყო და ვის დაუკანონეს უკანონოდ. ჯერ ბელა გუბელაძის და შემდეგ ქეთევან ჯავახიშვილის და ყველას წარმომადგენლები იყვნენ ნათელა გოდერიძე და მზევინარ კოსტავა. პრაქტიკულად, ვერეს ხეობის 4 500 კვადრატულამდე მიწის ნაკვეთი და 7 სახლი მიითვისეს. ადვოკატები ამ მიწებს ასხვისებენ. ერთ-ერთმა ადვოკატმა თავის შვილს 2 მიწის ნაკვეთი აჩუქა. მივმართეთ პოლიციას. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და იკვლევენ მასალებს. ეს ხალხი რჩება კომპენსაციის გარეშე. ციური ბექაურს საერთოდ დაენგრა სახლი. მერია მონდომებულია, რომ აანაზღაუროს დაზარალებულების თანხები, მაგრამ ეს ხალხი არანაირ დაზარალებულთა რიცხვში არ ირიცხება, ვინაიდან თურმე დაზარალებულადაა ცნობილი ერთი პიროვნება, ვითომდა კეთილსინდისიერი მყიდველი, – განაცხადა ადვოკატმა თამუნა ქუთათელაძემ. (epn.ge)





## ოჯახის წევრის გარდაცვალება შესაძლოა, სოციალური დახმარების შეწყვეტის მიზეზი გახდეს



ანზორ გურაშვილი და მისი მეუღლე ელდინო გურაშვილი, სიღნაღის რაიონში სოფელ ტიბაანში ცხოვრობდნენ. ელდინოს გარდაცვალებამდე ისინი სოციალურად დაუცველთა ფენას მიეკუთვნებოდნენ.

3 თვის წინ ელდინო გარდაიცვალა და მისი პენსიონერი მეუღლე სრულიად მარტო, კეთილი ადამიანების დახმარების იმედად დარჩა. ოჯახის წევრის გარდაცვალების შემდეგ სოციალურმა აგენტმა კიდევ ერთხელ გადაამოწმა ოჯახში არსებული მდგომარეობა. რამდენიმე დღის წინ გურაშვილის სახელზე მივიდა დეკლარაცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ მოხუცი პენსიონერი სოციალურ დახმარებას ველარ მიიღებდა, რადგან აგენტმა 78 000 ქულა დააფიქსირა.

მარტოხელა პენსიონერის ქონებას მხოლოდ 3 ოთახი შეადგენს. მის ეკონომიკურ გაჭირვებას ჯანმრთელობის პრობლემებიც ემატება. ოჯახის წევრის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მატერიალური მდგომარეობა არ შეცვლილა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 5 ქათამი, რომელიც მანამდე ორი ადამიანის კუთვნილებად ითვლებოდა, მხოლოდ ანზორის კუთვნილებად აღირიცხა. ბოლო თვეებში გახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობამ კი 40 ლარი შეადგინა. აგენტის თქმით, სოციალური დახმარების შეწყვეტის მიზეზი სწორედ ეს უკანასკნელი გახდა.

2015 წლიდან სოციალური სტატუსის განსაზღვრისას, ახალი მეთოდოლოგია ორიენტირებული უნდა იყოს ოჯახის შემოსავლებზე და არა – ხარჯებზე. სოციალურად დაუცველის სტატუსის მიმღები შეიძლება გახდეს ოჯახი, რომელსაც არ აქვს შემოსავალი ან შემოსავლის მომტანი რაიმე სახის ქონება. მაგალითად, დამატებითი ბინა, სახნავ-სათესი სავარგულები, ავტომობილი. ქულებზე გავლენას არ ახდენს პირველადი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მაგ., ტელევიზორი, გაზქურა, სარეცხი მანქანა და ა.შ. ახალი წესების მიხედვით, ქულების განსაზღვრაზე გავლენას ვერ მოახდენს სოციალური აგენტის სუბიექტური მოსაზრება.

სოციალური მომსახურების სააგენტოში აცხადებენ, რომ დემოგრაფიული ცვლილება ოჯახის ხელახალი გადამოწმების საფუძველს იძლევა.

– როდესაც ოჯახს ემატება ან აკლდება ოჯახის წევრი, ასეთ შემთხვევაში ხდება ოჯახის ხელახალი გადამოწმება, გავეცანით ანზორის დეკლარაციას და ხელჩასაჭიდი ვერაფერი ვნახეთ. დეკლარაციაში მითითებულია, რომ არის მარტოხელა პენსიონერი, თუმცა დეკლარაციაში წერია, რომ ჯანმრთელია. თუ ავადმყოფია, უნდა წარადგინოთ ფორმა ასი რაიონის სოციალური მომსახურების სააგენტოში და მოითხოვოთ ხელახალი გადამოწმება. ყველა პენსიონერს რომ დავუნიშნოთ სოციალური დახმარება, ამის საშუალება არ არის, – ამბობენ სოციალური მომსახურების სააგენტოში. როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოში აცხადებენ, სოციალურად დაუცველთა მომსახურებაზე ყოველთვიურად 20-22 მილიონი ლარი იხარჯება. სოციალურად დაუცველთა რაოდენობა კი 430 000-მდე მერყეობს. საქსტატის მონაცემებით, საპენსიო პაკეტისა და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა 866,2 ათასს აღწევს. საარსებო შემწეობის ოდენობა ერთსულიანი ოჯახისთვის 60 ლარით განისაზღვრება. (bpn.ge)



## კარიმ ბენზემამ მატიე ველბუენას შანტაჟში მონაწილეობა აღიარა



კარიმ ბენზემამ აღიარა, რომ საფრანგეთის ნაკრებში მისი თანაგუნდელის მატიე ველბუენას შანტაჟში მონაწილეობდა. მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელის თქმით, იგი შანტაჟის თანამონაწილეა, თუმცა აღნიშნავს, რომ აიძულეს.

ბენზემას ადვოკატის განცხადებით, ფრანგ ფეხბურთელს ფულის გამოძალვაში მონაწილეობა არ მიუღია.

იმ შემთხვევაში, თუ ფრანგმა სამართალდამცავებმა ბენზემას დანაშაული დაუმტკიცეს, ფეხბურთელს 5-წლიანი პატიმრობა ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავი კარიმ ბენზემა 4 ნოემბერს საფრანგეთის პოლიციამ თანაგუნდელ მატიე ველბუენას დაშანტაჟების ბრალდებით ვერსალში, დაკითხვაზე დაიბარა და წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსა.

ამ საქმესთან დაკავშირებით, გასულ თვეში ჯიბრილ სისეც დაკითხეს, თუმცა ვეტერანი ფრანგი ფეხბურთელი მალევე გაათავისუფლეს.

ფრანგ ფეხბურთელ მატიე ველბუენას თანხის გამოძალვის მიზნით აშანტაჟებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ველბუენა თანხას არ გადაიხდიდა, მას სექსუალური შინაარსის ვიდეოს გამოუქვეყნებდნენ. (ipress.ge)

## ფინანსთა სამინისტრომ პრეზიდენტს წვენსაწური, სატყემლე და საშაქრე არ შეარჩინა...



2015 წლის მეორე კვარტალში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საკუთარ ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება შემდგომი განკარგვის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გადასცა.

როგორ ირკვევა, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს რამდენიმე დასახელების მეორადი ნივთი გადასცა. ჩამოთვლილ პროდუქციას შორის არის ორი ცალი მობილური ტელეფონი **iPhone 5, 2** ცალი – **iPhone 4s**, 18 ცალი მობილური ტელეფონი **Blackberry**, ასევე „სამსუნგისა“ და „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონები.

როგორც ჩამონათვალშია აღნიშნული, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მომსახურების სააგენტოს გადასცა 4 ცალი „ფილიპსის“ ფირმის მეორადი ტელევიზორი და ამავე ფირმის წვენსაწური.

ჩამონათვალის თანახმად, მომსახურების სააგენტოს გადაეცა 9 ცალი გორგოლაჭებიანი ტყავის სავარძელი, 5 ცალი ტრიბუნა და ამავე რაოდენობის ხის ტრიბუნა, 2 ცალი ჭაღი, 1 ცალი მეორადი სატყემლე და საშაქრე, ოვალური დიდი თეფში და 5 ცალი მეორადი თეფში. (bpn.ge)



## ბათუმში ნაპოვნი ჩვილის ცხედარი 25 წლის წინანდელი აღმოჩნდა




ბათუმში ყოფილი პროზექტურის ტერიტორიაზე ჩვილის ცხედარი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, ჩვილი დიდი ზომის ქილაში იყო მოთავსებული.

პირველადი ინფორმაციით, ჩვილის ცხედარი 25 წლის წინანდელია. ის საბჭოთა კავშირის დროინდელი ლაბორატორიის ნიმუშად გამოიყენებოდა.

ცნობილია, რომ ცხედარი ბავშვებმა იპოვეს, რომლებიც პროზექტურის ეზოში თამაშობდნენ. (ნიუპოსტი)

## რა კარგია არჩევნები, ამის დედა კი ვატირე — შესაძლოა, პენსია კიდევ გაიზარდოსო



– თეორიულად შესაძლებელია, რომ პენსიები გაიზარდოს და, ალბათ, გაიზრდება, – ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ განუცხადა.

დეპუტატი „ღიმილისმომგვრელს“ უწოდებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნას პენსიის 50 ლარით მატებასთან დაკავშირებით. – გახსოვთ ჩემი პირველი განცხადება, როდესაც ვთქვი, რომ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ნაადრევი განცხადება გააკეთა, როცა თქვა, რომ ქვეყანაში პენსიები არ მოიმატებს. სწორედ ჩემი განცხადების შემდეგ იყო რიგი გარკვეული პოლიტიკური ფიგურებისა, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ ეს არ არის რეალური და შეუძლებელია. მას შემდეგ, რაც ჩვენ ფინანსთა სამინისტროსთან კონსულტაციები გავიარეთ, აქ ჩართული იყვნენ კომიტეტების, ფრაქციების თავმჯდომარეები და მათ მიიღეს ინფორმაცია, რომ მოვძებნეთ რესურსი და თეორიულად შესაძლებელია, რომ პენსიები გაიზარდოს და ალბათ, გაიზრდება. ახლა იგივე სახეები დგანან რიგში და ამბობენ, რომ პენსია იმაზე მეტად შეიძლება გაიზარდოს, ვიდრე ეს ჩვენ რეალურად დავამუშავეთ. ასე რომ, ისინი სცდებიან ყველაფერს და სცდებიან საკუთარ აზროვნებასაც, – განაცხადა ჟურნალისტებთან დიმიტრი ხუნდაძემ.

დეპუტატი ჯერ ვერ აკონკრეტებს, რა ოდენობით არის მოსალოდნელი პენსიის გაზრდა და ამასთან დაკავშირებით მხოლოდ იმას ამბობს, რომ მთავრობა და პარლამენტი ძალიან აქტიურად მუშაობს, რომ ზრდა იყოს რეალური და მაქსიმალურად ყველა მიზნობრივ ჯგუფს შეეხოს.

– ჩვენ ამასთან დაკავშირებით ოპტიმისტურად ვართ განწყობილი. ვფიქრობ, პენსიის ზრდა ყველა პენსიონერს უნდა შეეხოს, – აღნიშნა ხუნდაძემ.

ამასთანავე, პარლამენტს 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი მთავრობისგან უკან უკვე დაუბრუნდა. მასში არაფერია შეცვლილი, მათ შორის არც პენსიების მიმართულებით. (bpn.ge)

# „გამოდის, პრემიერ-მინისტრიც ამ დანაშაულის თანამონაწილეა და მასთანაც მოგვიწევს მისვლა გადადგომის მოთხოვნით“

## ნოდარ ხადურის, ირაკლი ღარიბაშვილის და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ აქციები იწყება



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80


მას შემდეგ, რაც მთავრობამ გამოგვიცხადა, 2016 წლის ბიუჯეტს „ქამრების შემოჭერის“ პრინციპით შევადგენთო, ორგანიზაცია „ახალგაზრდა უფლებადამცველები“ თავად ფინანსთა სამინისტროს ხარჯებით დაინტერესდნენ, რომელმაც ბიუჯეტი შეადგინა და დოკუმენტაცია გამოითხოვეს.

**რა ოდენობის პრემიები რიგდება სამინისტროში? რამდენით არის ადმინისტრაციული ხარჯები გაზრდილი?**

**„ალიას“ ორგანიზაციის თავმჯდომარე, ალექსანდრე კობაიძე ესაუბრა:**

– ფინანსთა სამინისტრო 2016 წლის ბიუჯეტის პროექტს გავეცანით. მომავალი წლის ბიუჯეტი 8 მილიონი ლარითაა განსაზღვრული. ბევრს საუბრობენ, საიდან უნდა გამოიძებნოს თანხები პენსიებისთვის და სხვადასხვა სოციალური პროექტებისთვის. საიდან და, მაგალითად, ივლისი-სექტემბრის განმავლობაში, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა, გიორგი ხანიშვილის პრემიისა და დანამატის სახით 50 ათასი ლარი მიიღო.

გადავხედოთ ადმინისტრაციულ ხარჯებს, როგორც ფინანსთა სამინისტროში, ასევე, სხვა უწყებებს. შევხედოთ, რა თანხებია გამოყოფილი იმისთვის, რომ მთელი მომავალი წლის განმავლობაში კონკრეტული საგნები და ნივთები შეიძინონ სხვადასხვა უწყებებმა. საუბარია მანქანებზე, ავეჯზე და ა.შ. თუ ამ ყველაფრის შეძენაზე თავს შეიკავებს სახელმწიფო, მაშინ გამოვა, რომ ბევრი რამის განხორციელებაა შესაძლებელი. დაუშვებელია, მინისტრები და სხვა მაღალი თანამდებობის პირები, საკუთარი ფუფუნებისთვის იყენებდნენ სახელმწიფო ბიუჯეტს – ხალხის ფულს. როცა ადამიანს ხელფასი აქვს 2700 ლარი, მანქანა ემსახურება და სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობს, არ უნდა ფიქრობდეს იმაზე, კიდევ მეტი საიდან მოიტანოს.

**— თქვენ დაინტერესდით, ჰკითხეთ სამინისტროს, რისთვის გაიცა ეს 50 ათასი ლარის ოდენობის პრემია, რა გააკეთა ორ თვეში ამ ადამიანმა?**

**— გვაინტერესებდა, მაგრამ არ მიგვიმართავს, გადავწყვიტეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართოთ უშუალოდ სამინისტროს, მინისტრს, რომ განგვიმარტოს, რისთვის ხარჯავენ ამხელა ოდენობის თანხებს, როდესაც მათი მუშაობის რეალურ შედეგს ხალხი თავის თავზე ვერ გრძნობს...**

**— რას აპირებთ?**

– მომავალი კვირის დასაწყისიდან ვაპირებთ აქციების გამართვას. ხადურისგან მოვითხოვთ, რომ ეს ადამიანი თანამდებობიდან გაათავისუფლოს. ასეთ ადამიანებს კი არ უნდა ინახავდნენ, არამედ საყვედურს უნდა აძლევდნენ და ათავისუფლებდნენ თანამდებობიდან. მივმართავთ ხადურს, გონს მოეგოს და ნუ ჰყავს ფუფუნებაში თავისი თანამშრომლები. საჯარო მოხელემ უნდა იცოდეს, რომ საჯარო საქმის კეთება არ არის ბიზნესის კეთება.

**— თქვენ ამბობთ, რომ ხადურისგან მოითხოვთ ხანიშვილის გადაყენებას. პრემია ხომ მინისტრმა, ხადურმა გამოუწერა და რატომ ითხოვთ ხანიშვილის გადაყენებას და არა ხადურისას. რა, ხადური ანგელოზია?**

**— სწორია, ხანიშვილის უშუალო ხელმძღვანელია ხადური, მას სხვა ხელმძღვანელი არ ჰყავს და მის გარეშე ამ პრემიას ვერ მიიღებდა.**

რამდენი ხანია ჩვენ ხადურის გადაყენებაზე ვსაუბრობთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ალგვაშფოთა ამ პრემიამ და სწორედ ამიტომ უნდა დაიწყოს ეს ღონისძიებები ხანიშვილის გადაყენებით. აუცილებლად გავაგრძელებთ ნოდარ ხადურის გადაყენების მოთხოვნასაც. სამთავრობო დონეზე უნდა მოწმდებოდეს ყველა უწყება, უშუალოდ პრემიერ-მინისტრის დონეზე უნდა კონტროლდებოდნენ. და თუ ამ ყველაფერს პრემიერ-მინისტრი აკონტროლებს, მაშინ რატომ ვაწყდებით ასეთ ფაქტებს? მაგრამ თუ არ აკონტროლებს, გამოდის, რომ პრემიერ-მინისტრიც ამ დანაშაულის თანამონაწილეა და მასთანაც მოგვიწევს მისვლა გადადგომის მოთხოვნით. დაველოდებით მიმდინარე პროცესებს, თუ პრემიერ-მინისტრი ისევ გამოვა და ამ ადამიანებს ხელს დააფარებს, მაშინ, პრემიერის გადადგომასაც მოვითხოვთ და პროტესტის ტალღა ვერ გაჩერდება.

**— ახლა უფრო „ზევით“ წავიდეთ. ვინ დაგვინიშნა პრემიერად ღარიბაშვილი და ვინ ამბობდა, მოხელეებს მაღალი ხელფასები, შემოსავალი უნდა ჰქონდეთ, რომ კორუფციისკენ თვალი არ წაუცდეთო, ხომ გახსოვთ...**

– ამ ყველაფერს რომ გავყვეთ და გავითვალისწინოთ, **ვისი მეშვეობით გვყავს დღევანდელი პრემიერ-მინისტრი, მივდივართ ექსპრემიერ-მინისტრამდე. ბიძინა ივანიშვილი გამოდიოდა და ამბობდა, როგორ ვერ გაუმართლეს იმედები გიორგი მარგველაშვილმა, დავით ნარმანიამ და ა.შ. მაგრამ არც ერთხელ არ გამოსულა და არ უთქვამს საყვედური იმ მინისტრებზე, რომელთა საქმიანობაც შედეგით ვერ გამოირჩევა.**

რა თქმა უნდა, მახსოვს, რომ თქვა, მინისტრებს უნდა ჰქონდეთ ღირსეული ანაზღაურება, რომ მათ ხელი არ წაუცდეთ კორუფციისკენო. შედეგად ვხედავთ, რომ მაღალჩინოსნები უზრუნველყოფილი არიან მაღალი ხელფასებით, დანამატებით, პრემიებით, თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ვერ ვხედავთ მათი მუშაობის შედეგებს.

**მშიერი ხალხი მიტოვებულია, მიგდებულია ბედის ანაბარა, სულ არ აინტერესებთ ხალხის ამბავი, ისე არიან კაბინეტებში გამოკეტილი. ბიძინა ივანიშვილი მორალური თვალსაზრისით დიდ ვალშია, ხალხი მას ენდო, მან კი უვარგისი მთავრობა დატოვა.**

რა თქმა უნდა, ვგულისხმობ უმეტეს ნაწილს. არ ვიცი, კულუარებში კიცხავს თუ არა ამ მთავრობას ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ კარგი გასატყეპები რომ არიან უსაქმურობის გამო, ეს ფაქტია...

ამიტომ ბიძინა ივანიშვილმა რეაგირება უნდა მოახდინოს თავის გუნდზე, ორი წელი საკმარისი იყო იმისთვის, რომ დარწმუნებულიყო, ვინ რისი გამკეთებელია და კარგად დაინახავდა ისიც, რომ, ერთეული მინისტრების გარდა, მთავრობამ მოსახლეობის იმედები ვერ გაამართლა. ამიტომაც მან უნდა გადადგას ნაბიჯები და უნდა ჩაანაცვლოს უვარგისი და უმაქნისი მინისტრები საქმის მკეთებლებით. მორალური პასუხისმგებლობა ყველაფერ იმაზე, რა შეცდომებსაც ეს ხელისუფლება უშვებს, ბიძინა ივანიშვილს ეკისრება, ამიტომაც, თუ ის უმოკლეს დროში არ დაინტერესდება ამ მინისტრების საკითხით, მოგვიწევს, მასაც გავუმართოთ აქცია და გავაპროტესტოთ მისი გულგრილობა.

ამ შემთხვევაში, სახეზე გვყავს სარეველა მინისტრი ნოდარ ხადური, რომელიც სასწრაფოდ უნდა ამოიკვეთოს მთავრობიდან, რომ შემდეგ ეს სარეველა არ მოედოს მთელ ქვეყანას. გაუგებრად რჩება, ამ პერიოდში რატომ არ დაინტერესდა ივანიშვილი ნოდარ ხადურის საკითხით, როდესაც ხედავს, რომ ყოველ ნაბიჯზე ასეთ შარებში ეხვევა. ამ ხელისუფლებას არ აკლია არანაირი პირობები იმისთვის, რომ ხალხისთვის იმუშაოს, მაგრამ როცა ვხედავთ, რომ ეს მთავრობა არ არის ხალხისთვის, მაშინ ისინი უნდა წავიდნენ.

**მერამდენე წელია ველოდებით, რომ იქნებ ამოქმედდნენ, ამუშავდნენ, მაგრამ შედეგს ვერ ვხედავთ. თუმცა, ტენდენცია, რომელიც უცვლელია, არის ის, რომ ხელისუფლებაში მოდიან „ცალი კალოშით“ და მიდიან გამდიდრებულები. მთავრობაში მოდიან ფულის საკეთებლად და ცდილობენ, რაც შეიძლება მოკლე დროში იშოვონ ბევრი ფული.**

ამ ტენდენციის გარდა, უმეტეს შემთხვევაში ვერაფერს ვერ ვხედავთ, ასე არ შეიძლება, ნებისმიერი საბიუჯეტო თანხა ქვეყნის განვითარებას უნდა მოხმარდეს და ეს უნდა შეიგნოს ნებისმიერმა საჯარო მოხელემ. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხს ყოველთვის ექნება განცდა, რომ ხალხის ბედი არავის ანაღვლებს და ხელისუფლებაში მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის მოდიან. ეს ტენდენცია ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავასრულოთ. სწორედ ამიტომ ვიწყებთ მოქმედებას. შემდეგ დაველოდებით შედეგებს და მომდევნო ნაბიჯებს ამის მიხედვით დავგეგმავთ.

**რა საქმე გააკეთა ასეთი, რა დამსახურებისთვის მიიღო გიორგი ხანიშვილმა 50 ათასი ლარი? ამ კითხვით ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახურს მივმართეთ, საიდანაც წერილობითი პასუხი მივიღეთ. უწყებაში პრემიის ოდენობა უარყვეს, წერილში ბევრი ისაუბრეს ბატონი გიორგის დამსახურებებზე, თუმცა არ დააკონკრეტეს, რამდენი მიიღო გიორგი ხანიშვილმა პრემიისა და დანამატის სახით — 50 ათას ლარზე 100 ლარით მეტი თუ ნაკლები და რა დამსახურებისთვის?.**

„ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ თქვენ მიერ დასახელებული ციფრი – 50 ათასი ლარი, არ შეესაბამება სინამდვილეს. მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელზე კანონმდებლობის სრული დაცვით გაცემულ პრემიასთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ სააგენტოს გენერალური დირექტორი გიორგი ხანიშვილი ხელმძღვანელობდა საორგანიზაციო ჯგუფს, რომელმაც ქვეყანაში უზრუნველყო უმნიშვნელოვანესი ღონისძიების – ქ. თბილისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 24-ე ყოველწლიური შეხვედრის წარმატებით ჩატარება. აღსანიშნავია, რომ საორგანიზაციო ჯგუფის მიერ მაღალ დონეზე მიღებული იქნა 66 ქვეყნის ოფიციალური დელეგაცია და 2600-ზე მეტი სტუმარი. ღონისძიების ფარგლებში გაფორმებულ 80 ხელშეკრულებაში დაზოგილი იქნა 3 000 000 (სამი მილიონი) ლარი. ამავე ჯგუფის მიერ კერძო სექტორიდან დამატებით მოზიდული იქნა 600 000 (ექვსასი ათასი) ლარზე მეტი.

თბილისში, 2015 წლის 13-15 მაისს გამართული ყოველწლიური შეხვედრა **EBRD**-ის პრეზიდენტის მიერ შეფასდა, როგორც საუკეთესო იმ შეხვედრათა შორის, რომელიც განვლილი 24 წლის მანძილზე ჩატარებულა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიური შეხვედრის ასეთ მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელს პირადად აქვს მიღებული **EBRD**-ის პრეზიდენტის სერ სუმა ჩაკრაბარტის მადლობის წერილი.

საორგანიზაციო ჯგუფისა და პირადად ბატონი გიორგი ხანიშვილის მუშაობა, ასევე, მაღალ დონეზეა შეფასებული საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის სახელზე სერ სუმა ჩაკრაბარტის მიერ გაგზავნილ წერილებში“. – აღნიშნულია სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებულ წერილში.



„სამთავრობო დონეზე უნდა მოწმდებოდეს ყველა უწყება, უშუალოდ პრემიერ-მინისტრის დონეზე უნდა კონტროლდებოდნენ. და თუ ამ ყველაფერს პრემიერ-მინისტრი აკონტროლებს, მაშინ რატომ ვაწყდებით ასეთ ფაქტებს? მაგრამ თუ არ აკონტროლებს, გამოდის, რომ პრემიერ-მინისტრიც ამ დანაშაულის თანამონაწილეა და მასთანაც მოგვიწევს მისვლა გადადგომის მოთხოვნით. დაველოდებით მიმდინარე პროცესებს, თუ პრემიერ-მინისტრი ისევ გამოვა და ამ ადამიანებს ხელს დააფარებს, მაშინ, პრემიერის გადადგომასაც მოვითხოვთ და პროტესტის ტალღა ვერ გაჩერდება“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ისტერიკასა და აგონიაში მე კი არა, თქვენ ხართ — ირმა ინაშვილისა და ლევან ბერძენიშვილის დაპირისპირება

დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერს ირმა ინაშვილს მოუწოდებს, „რესპუბლიკურ პარტიას" თავი დაანებოს.

როგორც ბერძენიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მედიას შეუძლია, „ნაციონალურ მოძრაობასაც" ჰკითხოს, ასოცირდება თუ არა „რესპუბლიკური პარტია" მათთან.

– მინდა ირმა ინაშვილს ვუთხრა, რომ ცხოვრებაში წარმატებაც მქონია და წარუმატებლობაც. ქალბატონი ირმა პოლიტიკაში ახალი კადრია, ის პარლამენტის წევრიც არ ყოფილა. მას წარმატებებიც ექნება და მოგებებიც. მან დამარცხებაც უნდა ისწავლოს და აღიარებაც. ყველაზე მთავარი დამარცხების სწავლაა. გამარჯვების აღიარების სწავლაზე ადვილი არაფერია. ქალბატონ ირმას ვურჩევ, „რესპუბლიკურ პარტიას" თავი დაანებოს. მას უთქვამს, ამ პარტიას გავაუქმებო და უკაცრავად, მაგრამ ქალბატონო ირმა, 40 წლის წინათ ეს პარტია იმიტომ კი არ შევქმენით, რომ თქვენ მოსულიყავით და გაგეუქმებინათ. პარტია მაშინ გაუქმდება, როცა ამის საჭიროებას ქართველი ხალხი დააყენებს. ჩვენმა კანდიდატმა ბრძოლაში ინაშვილი დაამარცხა და რა მოხდა მერე? მას რომ მოეგო,





ჩვენ ვიტყოდით, რა მოხდა მერე-თქო?! სათქმელი მეტი არაფერი არ მაქვს. ვიცი, რომ ფართომასშტაბიანი ბრძოლა იქნება და არ მინდა ვიხუმრო, რადგან საქმეში ისეთი კაცია ჩართული, რომ მისი შეურაცხყოფა არ შემიძლია. აქციას რუსთაველის ძეგლიდან იწყებენ და თავი რუსთაველს მაინც გაანებეთ და პირდაპირ ხიდაშლებზე გადადით, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ბერძენიშვილმა.

ბერძენიშვილის ეს განცხადება უპასუხოდ არ დაუტოვებია ირმა ინაშვილს. „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერმა „რესპუბლიკელ" დეპუტატს „ფეისბუკზე" უპასუხა.

– ისტერიკასა და აგონიაში მე კი, არა, თქვენ ხართ, ბატონო ლევან. ჯერ ჩემს ქვეყანას დაანებეთ თავი და მერე მე დაგანებებთ თავს, გპირდებით! და მთავარი – დაამშვიდეთ თქვენი კანდიდატიც, მთელმა საქართველომ იცის, რომ სამარცხვინოდ წააგო, მთელმა საქართველომ იცის, რომ გააყალბეთ ეს არჩევნები,... გამოიყენეთ ივანიშვილიც, მთელი მთავრობაც, ჯარიც, აზერბაიჯანულ მოსახლეობას სისხლი გაუშრეთ,... თორემ მე ბევრჯერ დავმარცხებულვარ და ამ დამარცხების აღიარება არ გამჭირვებია. მოგებულ ბრძოლას კი არ დაგითმობთ! ეს კარგად დაიმახსოვრეთ! ჩემს ქვეყანას თქვენნაირი ბებერი პოლიტიკური ცხოველები ჭამდნენ ყოველთვის და ამიტომაც ყოველგვარ ბრძოლას აზრი ეკარგება. მაშინაც კი, როცა გამარჯვებული ხარ... აი, ამის საშუალებას არ მოგცემთ,... ქართველი ხალხისთვის ხმისა და არჩევანის წართმევის უფლებას არ მოგცემთ, თორემ მაგ პარლამენტში ყოფნა ჩემთვის რომ დიდი ტვირთი და სასჯელია, ეს წინასწარ ვიცოდი, პატარა ბავშვი არ ვარ! – წერს ინაშვილი. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აბა, მითვალთვალებენ და მავიწროებენ, მებრძვიან და მზღუდავენო?



ჟურნალისტი ეკა მიშველაძე საზოგადოებრივ მაუწყებელზე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტოქშოუს მოამზადებს. ჟურნალისტმა აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა და აღნიშნა, რომ ტელეკომპანიის დირექტორისგან მიიღო წინადადება შეცვლილი ფორმატით საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუს წაყვანის თაობაზე. მიშველაძის ინფორმაციით, გადაცემა ეთერში, სავარაუდოდ, 2016 წლის იანვრიდან გავა.

– რა ცვლილებები იქნება შეტანილი, მონახაზი უკვე მაქვს. გადაცემა უფრო ანალიტიკური იქნება. მის ფორმატზე კი, მიმდინარეობს მსჯელობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობასთან. მიხარია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი სტანდარტების ერთგული დარჩა, – აღნიშნა ჟურნალისტმა.

მისი ინფორმაციით, ბოლო ორი დღის განმავლობაში, ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან შეხვედრები ჰქონდა, მათ შორის შეხვდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს, გიორგი ბარათაშვილს.

ეკა მიშველაძეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე ტოქშოუ „პირველი სტუდია" მიჰყავდა. გადაცემა მიმდინარე წლის 4 სექტემბრიდან დახურეს. ამის მოტივად კი, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის მრჩეველმა, ბასა ჯანიკაშვილმა მიშველაძისა და „თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის, ალექსი პეტრიაშვილის ქორწინება დაასახელა.

– მაუწყებლის კოდექსის თანახმად, ჟურნალისტმა, რომელიც პოლიტიკური ლიდერის მეუღლეა, უხერხულია, წაიყვანოს პოლიტიკური გადაცემა, – ამბობდა ბასა ჯანიკაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

**რამდენადაც ვიცით, მიშველაძე ისევ არის პეტრიაშვილის მეუღლე და ღმერთმა ბედნიერად შეაბეროთ ერთმანეთს, მაგრამ თუ ორი თვის წინ ეს ხელს უშლიდა პოლიტიკური გადაცემის წაყვანას, ახლა რა შეიცვალა?**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საკუთარი დამნაშავე იუსტიციის მინისტრი დაიჭირეს, ჩვენს დამნაშავეს კი თავს ევლებიან... სტრატეგიული პარტნიორიო, არა?!



უკრაინელმა სამართალდამცველებმა ქვეყნის იუსტიციის ყოფილი მინისტრი ელენა ლუკაში დააკავეს. „უნიანის" ინფორმაციით, ქვეყნის გენერალურმა პროკურორმა ვლადისლავ კუცენკომ განაცხადა, რომ დაკავებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2,5 მილიონი გრივნას მიტაცებაშია ეჭვმიტანილი.

მისი ინფორმაციით, საუბარია იმ პროგრამიდან თანხის მითვისებაზე, რომელიც უკავშირდება უკრაინის კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ადაპტაციას. პროკურორის განცხადებით, ეს საქმის მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია და ის 2013 წლის ზაფხულ-შემოდგომის პერიოდს უკავშირდება. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## სროლა აშშ-ში — დაღუპულია 3 ადამიანი

აშშ-ში, ენის შტატის ქალაქ ოკლენდში 42 წლის მამაკაცმა 3 ადამიანი მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა.

ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, 42 წლის ჰერმან დერიკომ მის სახლში მცხოვრები 39 და 28 წლის ასაკის ქალბატონები და 29 წლის მამაკაცი მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა. სამართალდამცველებმა სახლში 4 წლის გოგონა იპოვეს, რომელიც თავდასხმის დროს არ დაშავებულა.

ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, 911-ში მეზობლად მცხოვრებმა მოქალაქემ დარეკა და სამართალდამცავებს რამდენიმე გასროლის შესახებ ამცნო. მკვლელობის მიზეზები და მოტივები ჯერჯერობით უცნობია. (ნიუპოსტი)

## ლარი ცოტათი ისევ გამყარდა



საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 6 ნოემბრისთვის ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის თანახმადაც 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,3959 ლარი იქნება. აქამდე მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2,3967 ლარი ღირდა. ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში 0,0008-ით გამყარდა.

სებ-ის კურსით, 1 ევროს შეძენა დღეს 2,6007 ლარად იქნება შესაძლებელი. აქამდე მოქმედი კურსი კი 2,6179 ლარს შეადგენდა, ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებაში 0,0172-ით გამყარდა. (ნიუპოსტი)




## ვანში „თავისუფალი დემოკრატების" რაიონული ორგანიზაცია აღარ არსებობს

ვანში „თავისუფალი დემოკრატების" რაიონული ორგანიზაცია აღარ არსებობს, პარტია ყველა წევრმა დატოვა.

აღნიშნულის შესახებ განცხადება, ქუთაისში „ქართული ოცნების" ოფისში, ვანის საკრებულოს „თავისუფალი დემოკრატების" წევრმა, რომან თვალაბეიშვილმა გააკეთა.

თვალაბეიშვილის განმარტებით, ისინი ემიჯნებიან „თავისუფალი დემოკრატების" პოლიტიკურ გზას, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობასთან" იკვეთება.

მისივე განცხადებით, საკრებულოს წევრები, რომლებიც „თავისუფალ დემოკრატებს" წარმოადგენდნენ, ჯერჯერობით დამოუკიდებელ დეპუტატებად რჩებიან. (pia.ge)

**„ალიამ" ინფორმაციის გადამოწმება „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერებთან სცადა, თუმცა, როგორც ყოველთვის, მათ ჩვენს ზარებს კვლავაც არ უპასუხეს — ასე გააგრძელეთ მედიასთან ურთიერთობა, წარმატებებს გისურვებთ!..**

## თუ ასეა, თავად რატომ ყიდულობთ გაზს რუსეთისგან ან ჩვენ რატომღა ვცდილობთ რუსული გაზის ყიდვას?



თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა აზერბაიჯანში გაზის მარაგის არსებობაზე გაამახვილა ყურადღება.

– აზერბაიჯანს გაზის დიდი რეზერვუარები აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ 100 წლის მერე საკუთარი თავიც დაიკმაყოფილოს, მეზობლებიც და ევროპაც. საქართველოსა და აზერბაიჯანის ერთობლივი თანამშრომლობა მომავალში ერთიანი პოზიციიდან გამოსვლა სატრანზიტო დერეფანს ძალიან მნიშვნელოვნად წარმოაჩენს და ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურ ღირებულებას გაზრდის. მე განვაცხადე, რომ აზერბაიჯანში სატრანზიტო ტვირთებთან დაკავშირებით კომისია შეიქმნა და გვსურს, რომ აზერბაიჯანმა და საქართველომ ტვირთების გადაზიდვის თვალსაზრისით ერთიანი პოლიტიკა აწარმოონ, რათა ქვეყნის ფარგლებში გასასვლელი ტვირთების რაოდენობა გავზარდოთ. ვიმედოვნებ, რომ ეს სამომავლოდ შესაძლებელია. ჩვენ შეგვიძლია პრეზენტაციებიც გავმართოთ იმ ქვეყნებთან, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს ამ პროექტში ჩართვასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ეს უნდა იყოს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში განხორციელებული და თუ ასე მოხდება, იმთავითვე იქნება განხორციელებული.

მოხარული ვარ, რომ არც ერთ საკითხთან დაკავშირებით არ გვაქვს წინაღობა. ჩვენ მეგობრები ვართ და ეს ვიზიტი სამომავლო განვითარებისთვის წინგადადგმული ნაბიჯია, – განაცხადა ალიევმა. (ნიუპოსტი)

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



# „პატრიოტები“ ივანიშვილ-ღარიბაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ!

## ირმა ინაშვილი: „დღევანდელი ხელისუფლება გადაიქცა „მიშა 2“-ად და „ნაცმოძრაობა 2“-ად!“







**„ამ ხალხს ბიძინა ივანიშვილმა ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მისცა ხელისუფლება და მაღალი პოსტები ხელისუფლებაში და ჩვენ არ დავუშვებთ იმას, რომ დაიმსხვრეს ქართველი ხალხის ოცნება და ახდეს „რესპუბლიკური პარტიის“ ოცნება. ამისთვის არ გვიბრძოლია, რა...“**

**„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი, 8 ნოემბერს რუსთაველზე აქციის გამართვას აანონსებს და მოსახლეობას მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.**

**თინა ხიდაშელის და გიგლა აგულაშვილის გადადგომის გარდა რა მოთხოვნები გაჟღერდება აქციაზე? ერთჯერადი იქნება აქცია თუ პერმანენტული?**

**„ალიას“ ირმა ინაშვილი ესაუბრა:**

**— კონკრეტულად, თქვენი მოთხოვნები ცნობილია, კიდევ რა მოთხოვნებს დააყენებთ აქციაზე და რამდენ ადამიანს ელოდებით?**

– საგარეჯოში არჩევნები გაყალბდა და ამ გაყალბებას ჩვენ ორი მიმართულებით ვაპროტესტებთ: ერთი არის სამართლებრივი გზა – ჩვენ გავიარეთ ყველა ინსტანცია, საოლქოში, ცესკოში გვაქვს საჩივრები შეტანილი. დღეს (ინტერვიუ ჩაწერილია 5 ნოემბერს. – ნ.ლ.) შევიტანეთ სარჩელი სასამართლოში, ანუ ყველა სამართლებრივ ეტაპს გავივლით, მაგრამ, ცხადია, ჩვენ მივმართავთ სამოქალაქო პროტესტის გზას. როცა ვამბობთ, რომ არჩევნები გაყალბდა, ეს გულისხმობს სრულიად კონკრეტულ ფაქტებს, არსებობს ამის ფოტო-ვიდეომასალა, მოწმეების ჩვენებები... მოხდა სრულიად უპრეცედენტო რამ – ჯარის თითქმის, 100%-მა ხმა მისცა სახელისუფლებო კანდიდატს, დაფიქსირებულია ზედმეტი ბიულეტენი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არჩევნებში ჯარს არ მიუღია მონაწილეობა პირდაპირი გაგებით, არამედ მონაწილეობა მიაღებინეს ე.წ. კარუსელში. მოგეხსენებათ, თავდაცვის მინისტრი უშუალოდ იყო ჩასული ამ არჩევნებზე და როგორც მე ვიცი, მისი მხრიდან გაიცა განკარგულება, შექმნილიყო ეს სპეცუბანი და ჯარისკაცები, პირდაპირი გაგებით, ქალბატონმა თავდაცვის მინისტრმა გამოიყენა საარჩევნო ხმებით მანიპულაციისთვის, რაც გამოჩნდა კიდეც. მკაფიოდ ვამბობ: იორმუღანლოს აზერბაიჯანული მოსახლეობა დატერორებული იყო ხელისუფლების მხრიდან, ყველა საარჩევნო უბნის წინ იდგნენ გამგებლები. მარნეულის გამგებელი, მარნეულის სამხედრო კომისარი მონაწილეობდა ასევე იორმუღანლოს ამომრჩევლის დატერორებაში. ხელისუფლებას მობილიზებული ჰყავდა ე.წ. „ზონდერჯგუფები“, რასაც თავის დროზე, სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში ვაპროტესტებდით. გიგლა აგულაშვილი და მისი მოადგილე, თამარ ხიდაშელის მეუღლე ბესო აბაშიძე, თავის ბრიგადასთან ერთად, სასტიკად გაუსწორდა ჩვენი ახალგაზრდული მოძრაობის ლიდერებს. ამასთან დაკავშირებით აღიძრა საქმე და დაიკითხა როგორც თარხან გასვიანი, ისე სხვა დაზარალებულები. ჩვენ არანაირად არ მიგვიმართავს ძალისმიერი მეთოდებისა და ხერხებისთვის და არც ერთი პროვოკაცია ჩვენი მხრიდან არ ყოფილა, ამას აკეთებდა ჩვენი მოწინააღმდეგე – „ქართული ოცნება“ და „რესპუბლიკური პარტია“ ერთიანობაში, რომელსაც პასუხისმგებლობას ვაკისრებ საგარეჯოში არჩევნების ტოტალური გაყალბების გამო! ეს გაყალბება დაადასტურა 12-ზე მეტმა პოლიტიკურმა პარტიამაც, რომელთა დიდ ნაწილთანაც საერთოდ არ მაქვს მეგობრული ურთიერთობა.

**— როგორც ვიცი, საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით თქვენ სხვადასხვა ქვეყნის ელჩებთან გქონდათ შეხვედრები.**

– დიახ, მე მქონდა შეხვედრა საელჩოების წარმომადგენლებთან და მივაწოდე დეტალური ინფორმაცია ამ ყველაფრის თაობაზე... თუ ჩვენ დღეს ეს ყველაფერი დავუშვით, გადავყლაპეთ და ხმა არ ამოვიღეთ იმაზე, რაც მოხდა, 2016 წელს ხელისუფლება სრულად გააყალბებს არჩევნებს, შექმნის უამრავ სპეცუბანს, 30 ათასზე მეტ ჯარისკაცს გამოიყენებს საარჩევნო ხმების მანიპულაციისთვის. კონსტიტუცია შეილახა, ყველაზე მთავარი უფლება – არჩევანის თავისუფლება წაართვეს ამომრჩეველს, ამაზე მეტი რაღა უნდა მოხდეს ქვეყანაში?! მთელი სახელმწიფო მანქანა გვებრძოდა არჩევნებში, ყველა ის რესურსი გამოიყენეს, რის გამოყენებაც შეეძლოთ – ივანიშვილის ავტორიტეტი, მთავრობა ჩავიდა საგარეჯოში, ჯარიც გამოიყენეს... უნდა დამთავრდეს სახელმწიფო მანქანების არჩევნებში ჩართულობა, ჩვენი სახელითა და გვარით უნდა მოვიგოთ და ამომრჩეველმა თავისუფალი არჩევანი უნდა გააკეთოს. არ დავიხევთ უკან, თუმცა ხაზგასმით ვამბობ, ეს აქცია იქნება მშვიდობიანი, დაუკავშირდება მხოლოდ ერთ თემას – არჩევნების გაყალბებას და მთავარი ლოზუნგი იქნება „არა გაყალბებულ არჩევნებს“.

**— თქვენ თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრების გადაყენებას მოითხოვთ. გაყალბება, რომ ივანიშვილ-ღარიბაშვილის თანხმობის გარეშე არ მოხდებოდა, ხომ იცით? არ გადააყენებენ ხიდაშელს და აგულაშვილს. ამის შემდეგ რას აპირებთ?**

– მთავარი ლოზუნგის ქვეშ მთელ რიგ მოთხოვნებს დავაყენებთ ხელისუფლების წინაშე. თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრები უშუალოდ მონაწილეობდნენ, ორგანიზებას უკეთებდნენ და ჩართული იყვნენ არჩევნების გაყალბების პროცესში. გვაქვს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნა არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით, რადგან ეს სწორედ სისხლის სამართლის დანაშაულია. ჩვენ ვითხოვთ გამოძიებას და ყველა დამნაშავის დასჯას, იქნება ეს საგარეჯოს თუ იორმუღანლოს გამგებლები, იქნება ეს სხვადასხვა „ზონდერჯგუფები“, თუ აგულაშვილის სამსახური და ა.შ. კიდევ გვაქვს საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რაც ჩვენს აქციაზე გაჟღერდება და რასაც დავაყენებთ ხელისუფლების წინაშე. ვწუხვარ, რომ დღევანდელი ხელისუფლება საგარეჯოშიო მოიქცა ისე, როგორც თავის დროზე სააკაშვილის რეჟიმი იქცეოდა. „ქართული ოცნების“ არც ერთი დეპუტატი არ იმაღლებს ხმას ამ უმსგავსობაზე, უკანონობაზე, რასაც საგარეჯოში ჰქონდა ადგილი. ასე რამ შეაშინათ და დაამონათ?

**— როგორ ამოიღებენ ხმას, ბიძინა ივანიშვილი უჭერდა მხარს თამარ ხიდაშელის კანდიდატურას, ამის შესახებ მან განაცხადა კიდეც და ივანიშვილის წინააღმდეგ წავლენ ახლა ესენი?**

– კი, თუმცა ბიძინა ივანიშვილს პირდაპირი მონაწილეობა არ აქვს პოლიტიკაში, პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა წარგვიდგინა თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრები და მათი მოხსნა უშუალოდ მის კომპეტენციას განეკუთვნება. ჩვენ დავაყენებთ ამ მინისტრების გადაყენების საკითხს და ეს საკითხი არ მოიხსნება დღის წესრიგიდან.

**— გავრცელებული ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილს თქვენ რამდენჯერმე შეხვდით შუშის სასახლეში. გაქვთ ივანიშვილთან კონტაქტი და ამ არჩევნებთან დაკავშირებით თუ გქონიათ მასთან საუბარი?**

– არ შევხვედრივარ ბიძინა ივანიშვილს. მაქვს თუ არა მასთან კონტაქტი – ამაზე არ მინდა საუბარი...

**— წეღან გკითხეთ, თუ მინისტრები არ მოხსნე რას აპირებთ?**

– ჩვენ გადავდივართ მშვიდობიანი პროტესტის გზაზე, მაგრამ ხელისუფლებას ვარწმუნებთ, ეს პროტესტი იქნება ძალიან მწვავე, პრინციპული და ძალიან რადიკალური, რადგან ჩვენი ათწლიანი ბრძოლა გვავალდებულებს, საქართველოში აღარ დავუშვათ ახლა უკვე „რესპუბლიკური პარტიის“ რეჟიმი! რაც საგარეჯოში მოხდა, თვალნათლივ აჩვენებს, რომ დღევანდელი ხელისუფლება გადაიქცა „მიშა 2“-ად და „ნაცმოძრაობა 2“-ად!

**— რადიკალურ ზომებში რას გულისხმობთ, გზების პიკეტირებას, დაუმორჩილებლობას?..**

– რადიკალურ ზომებში იგულისხმება რასაც იგივე მაჰათმა განდი მიმართავდა თავის დროზე და რა გზებსაც სააკაშვილის რეჟიმის დროს მივმართავდით. არც შენობები აგვიღია და არც სახელმწიფო დაწესებულებები, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმი დავამხეთ, თუმც, ამას დრო დასჭირდა. ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია, დაიწყება მასშტაბური მოძრაობა არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ და საარჩევნო ცვლილებებისთვის. არავითარი 2020 წელი, ხელისუფლებამ ახლავე უნდა მოგვცეს გარანტიები, რომ შეცვლის საარჩევნო გარემოს.

**— თავად თქვით, ხელისუფლება 2016 წლის არჩევნებს გააყალბებსო და ხალხს ბოიკოტისკენ რომ მოუწოდოთ? მანამ, სანამ კონსტიტუციაში არ ჩაიწერება, რომ თუ გამარჯვებული პოლიტიკური ძალა საარჩევნო პროგრამით გაწერილ ვალდებულებებს არ შეასრულებს, არჩევნების შედეგები ავტომატურად ბათილად გამოცხადდეს, ამ გუნდმა დატოვოს ხელისუფლება, უკან დააბრუნოს ის თანხა, რაც ბიუჯეტიდან მათზე დაიხარჯა და პოლიტიკური საქმიანობა აეკრძალოთ. ამის შემდეგ, რიგგარეშე არჩევნებში გამარჯვებული პარტია ვეღარ გაბედავს ხალხის მოტყუებას...**

– პირადად მე ბოიკოტის მომხრე არ ვარ, ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ხელისუფლება დიდ ბრძოლას გამოგვიცხადებდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, ეს არ გასცდებოდა ჯანსაღ პოლიტიკურ პროცესს და ჯანსაღი პოლიტიკური ბრძოლის ფორმებს, მაგრამ ის, რაც საგარეჯოში გააკეთეს, ეს იყო სახელმწიფო მანქანის მასირებული შეტევა ერთი კანდიდატის, ირმა ინაშვილის წინააღმდეგ. ამ ხალხს ბიძინა ივანიშვილმა ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მისცა ხელისუფლება და მაღალი პოსტები ხელისუფლებაში და ჩვენ არ დავუშვებთ იმას, რომ დაიმსხვრეს ქართველი ხალხის ოცნება და ახდეს „რესპუბლიკური პარტიის“ ოცნება. ამისთვის არ გვიბრძოლია, რა... ჯერჯერობით, აქციის ეპიცენტრი იქნება თბილისში. ჩვენი აქცია მიზანმიმართული იქნება საარჩევნო გარემოს განთავისუფლებისკენ. ფანტაზია მდიდარი გვაქვს და პერმანენტული აქციები სხვადასხვა ფორმებით, სხვადასხვა მასშტაბით გაგრძელდება მშვიდობიანი გზით.

**— როდემდე შეიძლება ეს აქციები გაგრძელდეს?**

– ეს უკვე ხელისუფლების პრობლემა გახდება, რას დააკმაყოფილებს ჩვენი მოთხოვნებიდან და რას – არა. მოთხოვნები არ მოიხსნება დღის წესრიგიდან და არ ეგონოს ამ ხელისუფლებას, რომ ჩვენი შეკრება ერთჯერადი აქციით დამთავრდება. ხელისუფლება გადაყვება ამ ბრძოლას და ამ მოძრაობას, თუ ის დათმობაზე არ წავა, რადგან არაფერს არალეგიტიმურს ჩვენ არ ვითხოვთ. ჩვენ ვიცავთ ქართულ დემოკრატიას და არ მივცემთ „რესპუბლიკურ პარტიას“ იმის საშუალებას, რომ თავზე დააჯდეს ჩვენს ქვეყანას!

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



# „მიშას ხელი უნდა ამათ, ამათი დედა მოვ...ან“ — რა ხდებოდა „რუსთავი 2“-ის შენობასთან ტელეკომპანიის დროებითი მმართველების დანიშვნის გადაწყვეტილების გახმაურების შემდეგ

– „რუსთავი 2“-თან რაღაც ხდება. საყევარიშვილი აპირებს მისვლას და შეიძლება სერიოზული ამბები დატრიალდეს, – მეგობარმა დამირეკა ზუსტად იმ დროს, წერა დამთავრებული რომ მქონდა და „ალიელ“ ნინო ლაბარტყავასთან ერთად უკვე სახლში მივდიოდი.

მანქანა მაშინვე მოვაბრუნე და „რუსთავი 2“-ში მივცვივდით, თუმცა...

**მოსამართლე ურთმელიძის განჩინებით, „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორსა და მოქმედ მენეჯმენტს უფლებამოსილება შეუჩერდა და ტელეკომპანიის დროებით მმართველებად რევაზ საყევარიშვილი და დავით დვალი დაინიშნენ. ურთმელიძის აღნიშნული განჩინება საჯარო რეესტრს ქიბარ ხალვაშის ადვოკატებმა წარუდგინეს და მისი დაჩქარებული წესით რეგისტრაცია მოითხოვეს. ამავე განჩინების მეთორმეტე პუნქტის თანახმად, ურთმელიძის ეს განჩინება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გვერდის ავლით, დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. განჩინების დასაბუთებაში მოსამართლე ურთმელიძემ „რუსთავი 2“-ისთვის დროებითი მმართველის დანიშვნის აუცილებლობა სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულებამდე ტელეკომპანიის ქონების გაფლანგვის პრევენციით ახსნა.**

**გარდა ამისა, განჩინების მეექვსე პუნქტში აღნიშნულია, რომ დვალმა და საყევარიშვილმა უფლებამოსილების განხორციელება განჩინების გამოქვეყნების დღესვე, ანუ 5 ნოემბრიდან უნდა დაიწყონ.**

**მეშვიდე პუნქტით კი მოსამართლე ურთმელიძემ „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიასა და ფინანსურ დირექტორ კახა დამენიას უფლებამოსილება შეუჩერა.**

**ურთმელიძე განჩინებაში ასევე წერს:**

**— დროებით მმართველს განემარტოს, რომ, თუ ის (ისინი) არ შეასრულებს საწარმოს კეთილსინდისიერად მართვის მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ვალდებულებისთვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.**

**ურთმელიძე ასევე აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება განჩინების გამოქვეყნებისთანავე უნდა აღსრულდეს, ანუ 5 ნოემბერს.**

რატომ მოხდა ასე ნაუცბადევად გადაწყვეტილების გამოტანა და დროებითი მმართველების დანიშვნა, ვერსია ბევრი გამოითქმება, თუმცა ერთი რამ ფაქტია – „ნაციონალურ მოძრაობას“ კვლავ მისცა თამაზ ურთმელიძემ იმის საშუალება, რომ „თავისუფალი სიტყვისთვის მებრძოლთა“ მანტია მოირგონ...

„რუსთავი 2“-ის შენობასთან რომ მივედით, იქ სულ რამდენიმე ადამიანი დაგვხვდა, მათ შორის, გიგა ბოკერია, აკაკი ბობოხიძე და „ნაცმოძრაობის“ კიდევ რამდენიმე წევრი. თუმცა სიტუაცია ტელეკომპანიასთან წუთებში შეიცვალა – მანქანა მანქანაზე მოდიოდა და მიმდებარე ტერიტორია თვალის დახამხამებაში გაივსო. უმეტესობა ჯერ კიდევ ამთქნარებდა და არც იცოდა, რა ხდებოდა, რისთვის დაურეკეს „დედა პარტიიდან“, – არიქა, „თავისუფალი სიტყვა“ ილუპება და მოდი, სამშობლოს სჭირდებიო. არც ალკოჰოლის ოხშივრის ნაკლებობა იყო – ხალხი სახლში იჯდა (ზოგი იწვა), ჩემო ბატონო, განა ყველა თამაზ ურთმელიძესავით გვიანობამდე შრომობს და იტანჯება?!

რა ხდებოდა, ბოლომდე მართლა არავინ იცოდა – შეშფოთებული სახით მოვარდნილმა ნიკა რურუამაც ჟურნალისტებს მიაძახა: „ჯერ არაფრის აზრზე არ ვარ, შევალ, გავიგებ, რა ხდება და მერე ვილაპარაკოთო“. და ეს იმიტომ, რომ ურთმელიძემ მორიგი უაზრობა და უზნეობა ჩაიდინა.

– მიშას ხელი სჭირდება ამათ, ამათი დედა მოვ...ან, – ვიღაც ზორბა მამაკაცი აროხროხდა, რომელიც „ნაცმოძრაობის“ წევრებმა წამსვე გააჩუმეს: „ახლა არ გინდა ეგეთი რამეებიო“...

ცოტა ხანში სანდო წყაროსგან შევიტყვე, რომ „რუსთავი 2“-ში ინფორმაცია მიუღიათ, დელისის ოფისში აპირებენ მისვლას და ტელეკომპანიის იქიდან გათიშვასო, რის გამოც ძველი ოფისისკენ, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს და იქ რამდენიმე სტუდიაცაა განთავსებული, ოპერატორების ჯგუფები გაგზავნეს...







იყო გულზე მჯიღების ცემა, ირონიული ჩაღიმებები, ბლომად „ტყ, ტყ“, თუმცა შუაღამის 3 საათამდე არც ერთი დროებითი მმართველი „რუსთავი 2“-ის შენობასთან არ გამოჩენილა...

შეგვცივდა, გავიყინეთ მე და ნინო ლაბარტყავა და წამოვედით რედაქციისკენ – რა და როგორ იქნება, უახლოეს საათებში ყველაფერს გავიგებთ...

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რა ნ.ხ., ბატონო უჩა, რატომ არ ამხელთ კანონდამრღვევი მოსამართლის ვინაობას?!



სახალხო დამცველი მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას ითხოვს. ამის შესახებ ომბუდსმენის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

– 26 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მსჯავრდადებულ გ.გ.-ს მიმართ კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება მოითხოვა.

ბაქოს საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით 1997 წლის 28-29 იანვარს ჩადენილი ქმედების გამო (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), საქართველოს მოქალაქე გ.გ.-ს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

ევროპის საბჭოს 1983 წლის 21 თებერვლის „მსჯავრდადებულ პირთა გადაცემის შესახებ კონვენციის“ საფუძველზე, 2010 წლის 23 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გ.გ.-ს სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოში გადმოყვანის თაობაზე. ამავე განჩინებაში თბილისის საქალაქო სასამართლომ ბაქოს საქალაქო სასამართლოს განაჩენი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მუხლებთან შესაბამისობაში მოიყვანა და გ.გ.-ს სასჯელის სახით კვლავ უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ განჩინების გამოტანისას საერთოდ არ იმსჯელა ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონით განსაზღვრულ სასჯელზე და კანონის უკუძალის პრინციპის აკრძალვის დარღვევით გ.გ.-ს შეეფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს უზენაესი კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები, ასევე, საერთაშორისო აქტები ცალსახად და ორაზროვნად მიუთითებს კანონის უკუძალის აკრძალვის იმპერატიულ ხასიათზე. შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოსამართლე ნ.ხ.-მ მოსამართლის მოვალეობა ჯეროვნად არ შეასრულა, რითიც დაარღვია საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მხოლოდ ბრტყელ-ბრტყელი განცხადებებით ვერც ქინძს, ვერც ,,პეტრუშკას“ და ვერც ჭარხალს ბუზსაც ვერ აუფრენთ, კახა ბატონო, აბაა?!



ვიცე-პრემიერ კახა კალაძის თქმით, არავის მიეცემა იმის საშუალება, რომ ჟურნალისტები ბრმა იარაღად გამოიყენოს.

ამის შესახებ კალაძემ მედიაში არსებულ ვითარებასა და ბოლო დროს გავრცელებულ ჩანაწერებზე კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, სიტყვის თავისუფლება ქვეყანაში უმნიშვნელოვანესია. როგორც ვიცე-პრემიერი ამბობს, ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, ზეწოლის გარეშე იმუშაონ.

– რასაც ჩვენ ვისმენთ ამ მიმართულებით ჩვენი მეგობარი ქვეყნებიდან, ამას აბსოლუტურად ვეთანხმებით. თუმცა ის პროცესები, რაც მიდის, თუნდაც „რუსთავი 2“-თან მიმართებაში, თქვენ იცით, რომ დიდი ინტერესია ამ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით. გარკვეულ დაჯგუფებებს და პირდაპირ შეიძლება ითქვას, „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს სურვილი, ეს პროცესი სათავისოდ გამოიყენოს, სათავისოდ გამოიყენოს „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები. ეს მათ ნამდვილად არ გამოუვათ. ჩვენ მოვისმინეთ ფარული ჩანაწერებიც. არც ერთ ქინძს, ქინძების პარტიას არ ექნება იმის საშუალება, რომ სახელმწიფოში გადატრიალებები მოაწყოს. არ მივცემთ იმის საშუალებას, რომ თქვენ, ჟურნალისტები, ბრმა იარაღად იყოთ გამოყენებული, – განაცხადა კახა კალაძემ. (ნიუპოსტი)

**ჟურნალისტები საკუთარ თავს როგორმე მივხედავთ, თქვენ კი — ხელისუფლებამ, ის გააკეთეთ, რასაც გვპირდებოდით.**

**ჰო, კიდევ ერთი — თუ ჟურნალისტებზე ასე ზრუნავთ, კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ და ამის გამეორებას არც დაგაყვედრით — მედიას განვითარებისთვის რეკლამა სჭირდება, კახა ბატონო, რეკლამა და არა მამაშვილური რჩევები!!!**

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



„რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე მოვლენებმა რევოლუციის იდეა კინაღამ რეალობად უქცია „ნაციონალებს“, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ დაუყოვნებლივი აღსრულების ნორმა შეაჩერა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქიბარ ხალვაში ჯერ საკუთარ ქონებას ვერ დაეპატრონება და თუ სასამართლოს შემდგომმა ორმა ინსტანციამ მოსამართლე თამაზ ურთმელიძის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, ამას საკმაო დრო დასჭირდება და აღსრულების პროცესი, შესაძლოა, რამდენიმე თვითაც კი გადაიდოს. შესაბამისად, „რუსთავი 2“ დასაცავი აღარ არის. აქედან გამომდინარე, ვერც იმ „ბოევიკებისა“ და სპეცრაზმელების მობილიზაციას მოახდენენ „ნაციონალები“ „რუსთავი 2“-ის ოფისთან, რასაც გეგმავდნენ, რასაც სააკაშვილის ნიკა გვარამიასთან, ნუგზარ წიკლაურთან, გიგა ბოკერიასთან სატელეფონო საუბრები ადასტურებს, ასევე, ბოლოს გავრცელებულ დათა ახალაიასა და რომეო საჯაიას სატელეფონო საუბარიც.

„ალიას“ „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებულმა წყარომ მათი გეგმების შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციები მოაწოდა. იმას, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, „ალია“ არ მიიჩნევს უტყუარ მტკიცებულებად, თუმცაღა, „ნაცები“ რომ ყველაფერზე არიან წამსვლელები, ეს ყველას კარგად მოგვეხსენება.

წყაროს ინფორმაციით, „ნაცმოძრაობის“ მთავარ ოფისში შემდეგი სახის ინფორმაციები ვრცელდება და ამის შესახებ პარტიის ლიდერები საუბრობენ. მიხეილ სააკაშვილს არ მოსწონს, რომ „რუსთავი 2“-თან ხალხი დაიშალა, რევოლუციური პროცესი შეფერხდა და მოითხოვს, ისეთი რამე გააკეთონ ამ არხის ჟურნალისტებმა, რომ ხალხი დაიპირისპირონ და კვლავ დასაცავად გაიხადონ საქმე, ხელოვნურად შეიქმნას დაძაბულობა, კვლავ მოხდეს ხალხის მობილიზაცია სიტყვის თავისუფლების დაცვის საბაბით ტელეკომპანიის ოფისთან, ააგონ ბარიკადები, რათა შემდგომში, ხალხმრავლობაში, შეძლონ პროვოკაციების მოწყობა, სააკაშვილის გეგმით, რომელსაც გიგა ბოკერიაც ეთანხმება, „რუსთავი 2“-მა სასწრაფოდ უნდა დაიწყოს შეტევა ქართულ ეკლესიასა და კათალიკოს-პატრიარქზე, უნდა მომზადდეს ილია მეორის შეურაცხმყოფელი სიუჟეტები, ქართული ეკლესია ლაფში უნდა ამოსვარონ „ნაციონალთა“ ექსპერტებმა. სააკაშვილს შემოუთვლია ბოკერიასთვის, – ეგ ექსპერტები სიმაღლის მიხედვით დააწყვე და თუ რაიმე სიბინძურე მოუვათ თავში პატრიარქსა და ეკლესიაზე, ადგნენ და ყველაფერი ილაპარაკონ ტელევიზიით, თუ თვითონ ვერ მოიფიქრებენ, დაუწერეთ და ალაპარაკეთ, ეგენი ყველანი მათხოვრები იყვნენ, ფული ჩემი წყალობით იშოვეს და ცხოვრებას გემო გაუგეს, ვინც ამ დავალებას არ შეასრულებს, დაემშვიდობონ გრანტებსა და ტკბილ ცხოვრებას. გარდა ამისა, ვინც ამ დავალებას არ შეასრულებს, აღარც ერთი არ გამოაჩინოთ „რუსთავი 2“-ის ეთერშიო. ასევე, ვინც ამ არაადამიანური დავალების შესრულებაზე უარს განაცხადებს „რუსთავი 2“-დან, იმ ჟურნალისტებსაც მოუწევთ სამსახურის დატოვება და ამასაც სააკაშვილი ითხოვს დაჟინებით. ამ გეგმის განხორციელება გიგა ბოკერიას აულია საკუთარ თავზე. წყაროს ინფორმაციით, ის ახლა გეგმის დეტალებს ადგენს, რომელი არასამთავრობოების ლიდერები დააჯახოს ეკლესიას, კონკრეტულად ვის რა დავალება მისცეს, რა სიბინძურე დააბრალოს პატრიარქს, „რუსთავი 2“-ის რომელი ჟურნალისტები დაარტყამენ მათ და ა.შ.

# უნდა მომზადდეს ილია მეორის შეურაცხმყოფელი სიუჟეტები, ქართული ეკლესია ლაფში უნდა ამოსვარონ

## „ნაცისტების“ მზაკვრული გეგმა?!



საააკაშვილს უთქვია ბოკერიასთვის, – ეგ ექსპერტები სიმაღლის მიხედვით დააწყვე და თუ რაიმე სიბინძურე მოუვათ თავში პატრიარქსა და ეკლესიაზე, ადგნენ და ყველაფერი ილაპარაკონ ტელევიზიით, თუ თვითონ ვერ მოიფიქრებენ, დაუწერეთ და ალაპარაკეთ, ეგენი ყველანი მათხოვრები იყვნენ და ფული ჩემი წყალობით იშოვეს




ერთ-ერთ ეპისკოპოსზე განსაკუთრებული შეტევა მზადდება. „ნაციონალთა“ აქტივისტი გოგონა მზად არის, ხელი დაადოს, თითქოს მეუფე მასზე ძალადობდა გაუპატიურების მიზნით და თავი ძლივს დააღწია.



– ილია მეორე, მისი მღვდელმთავრები თუ უბრალო მღვდლები, ლაფში უნდა ვათრიოთ, ისე უნდა წარმოვაჩინოთ ეგენი, რომ მაგათთან შედარებით, ეშმაკი ანგელოზად გამოუყურებოდეს. დედა უნდა ვუტიროთ პატრიარქსაც და ეკლესიასაცო, – ასე გადმოგვცემს წყარო გიგა ბოკერიას სიტყვებს, რომელიც მას თანამოაზრე პარტიის ლიდერებთან თათბირზე უთქვამს.

სააკაშვილი-ბოკერია ვარაუდობენ, რომ ეკლესიისა და პატრიარქის შეურაცხყოფა, ხალხს მოთმინების ფიალას აუვსებს, მორწმუნე ადამიანები, მინიმუმ, „რუსთავი 2“-ის ოფისთან მივლენ პროტესტის გამოსახატავად. ამას კი, თავად ტელეკომპანია ისე წარმოაჩენს, რომ ეს ხალხი ტელეკომპანიის დარბევას, მათ ჟურნალისტებზე ანგარიშსწორებას აპირებს და მხარდამჭერებს კვლავ თავისუფალი სიტყვის დასაცავად მოუწოდებს. წყაროს თქმით, თავად „ნაცები“ მოაწყობენ რამდენიმე პროვოკაციას, სიტყვიერად შეურაცხყოფენ და სცემენ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებს და ამას ეკლესიის მხარდამჭერებს გადააბრალებენ.

კი, „რუსთავი 2“-ის ოფისის მიმდებარედ სათვალთვალო კამერებია დამონტაჟებული, მაგრამ წყარო ირწმუნება, რომ „ნაციონალებს“ დეტალურად აქვთ შესწავლილი ის ადგილები, რომლებიც კამერების მიღმა რჩება, მათ არეალში ვერ ხვდება. შესაბამისად, პროვოკაციის მოსაწყობად არაერთი ადგილი ჰქონიათ შეგულებული.

თუმცა, ამ გეგმას ყველა ლიდერი არ უჭერს მხარს, ბევრი მიიჩნევს, რომ მთავარია, „რუსთავი 2“ შეინარჩუნონ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, რევოლუცია კი არჩევნების შედეგების გამოქვეყნებისთანავე დაიწყონ, მიუხედავად იმისა, გააყალბებს თუ არა არჩევნებს ხელისუფლება.

„ნაცები“ შეგუებულნი არიან, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი ან პარლამენტს მიღმა დარჩებიან, ან ხმების, მაქსიმუმ, 8-10 პროცენტს მიიღებენ. ორივე ვარიანტი მომაკვდავი „ნაცმოძრაობის“ ბოლო ამოსუნთქვა იქნება. შესაბამისად, არჩევნების შედეგების გასაუქმებლად, ერთადერთი გზა, რევოლუციაღა დარჩებათ. მიხეილ სააკაშვილს ეს ვარიანტი არ აწყობს, 2016 წლამდე მოცდას არც ის აპირებს და არც ის ლიდერები, რომლებიც, შესაძლოა, ახლო მომავალში დაიჭირონ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით. მათ დასაკარგი არაფერი აქვთ, ან ციხეში ამოყოფენ თავს და ან საქართველოდან გაქცევა მოუწევთ.

ამ ეტაპზე აქტიური მუშაობა მიდის ზვიად გამსახურდიას მომხრეების ერთ ნაწილთან, რომლებიც დიდი ხანია პატრიარქს საბჭოთა დროის „კგბ“-ს აგენტობაში სდებენ ბრალს და ზვიად გამსახურდიას დამხობის თანამონაწილეობაშიც ადანაშაულებენ. ამ ხალს „ნაცები“ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებენ. ეს ადამიანები დადებენ „ფაქტებს“. რომ ილია მეორე არა მხოლოდ „კგბ“-ს აგენტი იყო, ამჟამადაც მისი მემკვიდრის, „ფსბ“-ს აგენტია. ასევე, ყველა მოქმედი ეკლესიის მრევლში, ცხადია, არიან „ნაცების“ მხარდამჭერები და ისეთებიც, ყველაფერზე რომ მოაწერენ ხელს. სავარაუდოდ, ამ ადამიანებს ვიხილავთ „რუსთავი 2“-ის ეთერში, რომლებიც ბრალს დასდებენ კონკრეტულ მოძღვრებს სხვადასხვა სასულიერო პირთათვის შეუფერებელ საქციელში. წყარო აცხადებს, რომ ერთ-ერთ ეპისკოპოსზე განსაკუთრებული შეტევა მზადდება. „ნაციონალთა“ აქტივისტი გოგონა მზად არის, ხელი დაადოს, თითქოს მეუფე მასზე ძალადობდა გაუპატიურების მიზნით და თავი ძლივს დააღწია. სავარაუდოდ, ამგვარ სიუჟეტებს არა მხოლოდ „კურიერში“, „რუსთავი 2“-ის ტოქშოუებშიც ვიხილავთ.

წყაროს თქმით, გეგმის განსახორციელებლად „ნაციონალებს“ ყველაფერი მზად აქვთ. პრინციპში, რევოლუციისთვის ისინი ისედაც მზად იყვნენ, რასაც გამოქვეყნებული სატელეფონო ჩანაწერებიც ადასტურებს – „ბოევიკები“ მზად ჰყავდათ და ბარიკადების აგებასაც აპირებდნენ. საბაბიც იგივე რჩება, „რუსთავი 2“ იქნება დასაცავი, ოღონდ, სხვა მოტივია მოფიქრებული. ამჯერად, ხელისუფლებისა და ქიბარ ხალვაშისგან კი არ დაიცავენ ტელევიზიას, მორწმუნე მრევლისგან, რომელიც სამართლიანად იქნება აღშფოთებული ეკლესიისა და ილია მეორის შეურაცხმყოფელი მასალების „რუსთავი 2“-ის ეთერში გაშვებით. თუმცა, დამატებითი ძალების მობილიზაციისთვის, წყაროს თქმით, საფრანგეთში მყოფმა დავით კეზერაშვილმა ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული ერთ-ერთი კომპანიიდან, ანუ „ნაცების“ „ობშიაკიდან“ უკვე გადმორიცხა 10 მილიონი დოლარი საქართველოში, ასევე, „ნაციონალთა“ მიერ კონტროლირებადი კომპანიის ანგარიშზე.

სავარაუდოდ, საქმე ფიქციურ ბიზნესგარიგებასთან უნდა გვქონდეს.

## „ბი-ბი-სი“ — „საბჭოთა საიდუმლო ობსერვატორია, რომელიც კოსმოსს კვლავ უთვალთვალებს“

ამ სათაურით გამოაქვეყნა სტატია „ბი-ბი-სი“მ. როგორც სტატიის აღწერაში წერია, აბასთუმნის ობსერვატორია საბჭოთა პერიოდში საიდუმლო დაწესებულება იყო. ბი-ბი-სი“-მ გადაწყვიტა გაეგო, თუ როგორ მოახერხა ობსერავტორიამ ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში ადაპტირება.



„გზის ბოლოს, ძროხებითა და ცხენებით დასახლებულ ტყიან მთაზე, ზღვის დონიდან 700 მეტრზე, მცირე მაგრამ გამბედავ მეცნიერთა ჯგუფი მსოფლიოს გადარჩენას ცდილობს. ისინი ამას უკვე ათეულობით წლებია აკეთებენ, მიუხედავად სახელმწიფო რეპრესიებისა, თუ საყოველთაო აპათიისა. თუმცა, ეს ჯგუფი სამეცნიერო ფანტასტიკის გიმრები არ არიან. აქ, საბჭოთა დროს აშენებულ ობსერვატორიაში, რომელიც ქალაქ აბასთუმანში მდებარეობს, ეს ყოველდღიური ცხოვრებაა.

„ჩვენ გვაქვს 14 ტელესკოპი, აქედან ორი მუშაობს", – აცხადებს დოქტორი მაია თოდუა. აბასთუმანი ერთ დროს ასტრონომიის განვითარებას წინა ხაზზე იყო. თავად ქალაქი, რომელიც მე-19 საუკუნეში ჰაერითა და თერმული წყლებით იყო ცნობილი, დიდი პოპულარობით სარგებლობდა რომანოვების ოჯახში, რომელიც მაშინ საქართველოს აკონტროლებდა, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილს. მეფე ნიკოლოზ I-ის ძმა გიორგი რომანოვი მოყვარული ასტრონომი იყო და სწორედ მან ჩამოიყვანა პირველად მეცნიერები სანკტ-პეტერბურგიდან. საუკუნის მიწურულს აშენდა პირველი ტელესკოპი. მე-19 საუკუნის პირველი ათეული წლები, აბასთუმანი რუსეთის იმპერიის სამეცნიერო და კულტურული ელიტის ჰაბს წარმოადგენდა. აბასთუმანი ოფიციალურად საბჭოთა ობსერვატორიად 1932 წელს ჩამოყალიბდა. ეს პროცესი კოსმოსურ ტექნოლოგიებში საბჭოთა ინტერესების ზრდის ფონზე მოხდა, რომლის კულმინაციაც „სპუტნიკის" გაშვება გახდა.

თუმცა, ქართველ მეცნიერებს აბასთუმანში ყოველთვის ბევრი სამუშაო არ ჰქონიათ. მთავარი აღმოჩენები სამეცნიერო ტიტანის, ევგენ ხარაძის მმართველობის დროს მოხდა, რომელიც ობსერვატორიას 1932 წლიდან 1991 წლამდე ხელმძღვანელბოდა. ასევე, მაგალთად რომან კილაძე პლუტონის ყველაზე დიდი თანამგზავრის, ქარონის არსებობას ვარაუდობდა იმაზე ერთი წლით ადრე, ვიდრე ის ამერიკელებმა 1978 წელს აღმოაჩინეს. მისი კოლეგა მიხეილ ვაშაკიძე კი იმ პერველ მეცნიერებს შორის იყო, რომლებმაც პოლარიზებული რადიაცია აღმოაჩინეს კირჩხიბის ნისლეულში.

ქართველი მეცნიერები ხშირად რუსი კოლეგების ქვეშევრდომებად განიხილებოდნენ – რუსები გაუშვებდნენ „სპუტნიკს" და ქართველები თანამგზავრის მონაცემებს ქვემოდან ამუშავებდნენ.

„ქართველი ასტრონომები ძირითადად რუსი კოლეგებისთვის დამკვირვებლებად მუშაობდნენ. ისხდნენ ოფისებში და ცივი ზამთრის ღამეებში აკვირდებოდნენ. ამის შემდეგ კი ინფორმაციას რუსულ სისტემებს აწვდიდნენ. ფურცელზე კი, პირველ ადგილზე რუსი ასტრონომები ეწერა, ხოლო ქართველები – ბოლოს", – განაცხადა ბიძინა კაპანაძემ, რომელიც აბასთუმანში უკვე დიდი ხანია, მკვლევრად მუშაობს. მისი კვლევის ობიექტს აქტიურ გალაქტიკებში შავი ხვრელები წარმოადგენს. მისივე თქმით, კორუფციაც დიდი პრობლემა იყო, რადგან პირადი ნაცნობობით დასაქმებული ადამიანები კოლექტივის ნახევარს შეადგენდნენ. კიდევ ერთ პრობლემას კი გარე სამყაროსგან იზოლირება წარმოადგენდა, თითქმის შეუძლებელი იყო უცხოურ ჟურნალებში კვლევის გამოქვეყნება ან უცხოელი კოლეგებისგან ახალი მეთოდების სწავლა. ასევე, საბჭოთა იდეოლოგია ხანდახან ხელს უშლიდა კარგ კვლევას.

ობსერვატორიის მთავარი შენობის გარდა, კიდევ 17 შენობა შედის კომპლექსში, რაც კარგად ასახავს საბჭოთა იდეოლოგიას – ხარისხზე მნიშვნელოვანი რაოდენობაა. ყოველი ხუთწლიანი გეგმა ახალი შენობის აშენებას ითვალისწინებდა, რომელიც მოჩუქურთმებული იყო ასტროლოგიური ნიშნებით, თუმცა ტექნოლოგიების განახლება დიდ წილად იგნორირებული იყო. მიუხედავად ყველაფრისა, თორდუას თქმით, ქართველმა მეცნიერებმა ბევრი კარგის გაკეთება შეძლეს ნორმალური საბჭოთა დაფინანსებით და რამდენიმე წელიწადში ერთხელ განახლებული ტელესკოპებით (ბოლო ტელესკოპი 1977 წელს ჩაიტანეს აბასთუმანში).

თუმცა, გამოწვევები, რომლებიც აბასთუმნის წინაშეს იდგა საბჭოთა დროს, არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც შემდეგ მოხდა. თუ საბჭოთა სისტემას ჰქონდა გარკვეული შეზღუდვები, განუკითხაობის პირველ წლებში, ედუარდ შევარდნაძის დროს, თითქმის ყველაფერი განადგურდა. თოდუა, რომელიც აბასთუმანში 1989 წელს მივიდა, უეცარ ცვლილებას იხსენებს.

„აბასთუმანი ყველაფერზე მაღლა იდგა... თითქმის 250 ადამიანი მუშაობდა და ცხოვრობდა აქ თავიანთი ოჯახებით. იგი საბჭოთა მოქმედ აბსორვატორიებს შორის საუკეთესო იყო. შემდეგ, რამდენიმე თვეში ყველაფერი შეიცვალა“, – საქართველო დამოუკიდებელი გახდა და ქვეყანა ქაოსმა მოიცვა. ხარაძე უცერემონიოდ მოხსნეს თანამდებობიდან მისი ნების საწინააღმდეგოდ, თოდუას ეს კარგად ახსოვს.

ამას მოჰყვა ელექტრომომარაგების ხშირი შეწყვეტა. „საშინელება იყო, საშინელება... ოთხი თვის განმავლობაში არ გვქონდა ელექტროენერგია". ეს არამარტო შუქის არქონას არ გულისხმობდა, არამედ გათბობის არქონას ძალიან ცივ რეგიონში. თოდუას ახსოვს, როგორ ილვიძებდა 2-3 გრადუსიან სიცივეში. მას და მის კოლეგებს გასათბობად ხეების მოჭრა მოუწიათ. ხელფასები კი უბრალოდ არ არსებობდა, – „ფული არ იყო. მთავრობა ყოველდღიურად 300 გრამ პურს გვაწვდიდა თითო ადამიანზე".

ასეთი პირობების გამო, მეცნიერების დიდი ნაწილი, მათ შორის, ცოტა ხნით, თოდუაც, იძულებული იყო თბილისში კერძო სამსახური ეშოვა. ამასთან, საბჭოთადროინდელი ცუდი ფაქტორები – ნეპოტიზმი და კორუფცია შემორჩა. „დარჩენილი მეცნიერები საბჭოთა ეპოქის – 80 წელს გადაცილებულები იყვნენ", – იხსენებს კაპანაძე 2000-იანი წლების დასაწყისს. მხოლოდ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, რომელმაც პროდასავლელი მიხეილ სააკაშვილი მოიყვანა ქვეყნის სათავეში, სიტუაციამ გამოსწორება დაიწყო ობსერვატორიისთვის. 2008 წელს ის შევიდა ილიას უნივერსიტეტის შემადგენლობაში, რამაც ახალი ფინანსები შესძინა. ობსერვატორიის ნაწილი მუზეუმად გადააკეთეს, ევგენი ხარაძის ოთახი აღადგინეს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც მან ის დატოვა.

მიუხედავად ამისა, ობსერვატორია ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. დაფინანსება მინიმალურია. თვითმფრინავები, რომლებიც ობსერვატორიის თავზე დაფრინავენ, ხელს უშლიან ახალ აღმოჩენებს. თოდუამ და მისმა გუნდმა არაერთხელ სცადეს საქართველოს ავიაციის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკება, თუმცა უშედეგოდ. თოდუამ გაიგო, რომ იუნესკოს შეუძლია ობსერვატორიისთვის დაცული ტერიტორიის სტატუსის მინიჭება. ეს გამოსავალი იქნებოდა. „მათ ვერ ვუკავშირდებით", – განაცხადა თორდუამ.

ასევე ორი მუშა ტელესკოპიდან მხოლოდ ერთი – 1957 წლის 70სმ-იანი ლინზის ტელესკოპი მუშაობს ბოლომდე გამართულად. მეორე – 1937 წლის „ცეის“-ის ტელესკოპი მხოლოდ მუზეუმში გამოიყენება. 12 გაფუჭებული ტელესკოპიდან ერთ-ერთის გაკეთებაც კი ასობით ათასი, ან მილიონობით დოლარი დაჯდებოდა. ეს წარმოუდგენელია დღევანდელი 2 მილიონ ლარიანი ბიუჯეტით. თოდუას თქმით, ბიუჯეტის 80% 150 თანამშრომლის ხელფასებზე იხარჯება. 2013 წელს მკვლევართა ხელფასი 625 ლარიდან 312,5 ლარამდე შემცირდა, რამაც ზოგიერთ მკვლევარს თანამდებობა დაატოვებინა. თუმცა ეს ბიუჯეტიც კი 10-ჯერ მეტია იმაზე, ვიდრე რამდენიმე წლის წინ იყო.

სამეცნიერო მუშაობის გარდა, აბასთუმნის ობსერვატორიას 15 ათასამდე ადამიანი სტუმრობს წელიწადში, მათ შორის სკოლებიდან, ტურებზე მყოფი მოსწავლეები. ახლა გერმანელი სტუდენტებით სავსე ავტობუსი მოვიდა. არიან კერძო სტუმრებიც. თოდუამ სტუმართა წიგნი მაჩვენა, სადაც ჩანაწერები არამხოლოდ რუსულად და ქართულად, არამედ გერმანულად, ინგლისურად, ფრანგულად, სომხურად და ებრაულადაც არის. ეს ყველაფერი მოწმობს იმაზე, თოდუას აზრით, რომ საქართველოს აქვს შანსი, კვლავ იყოს ჩართული მსოფლიო სამეცნიერო სცენაზე.

ობსერვატორიის ერთ-ერთ შენობაში თოდუა მაცნობს უფროს მეცნიერს შოთა ინასარიძეს, რომელიც „ახლო ასტეროიდებს" იკვლევს. ანუ იმ ასტეროიდებს, რომლებიც შესაძლოა დედამიწას შეეჯახონ და კატასტროფული შედეგები გამოიწვიონ. „ის ჩვენი მცველია" – აცხადებს თოდუა, რომელიც ხაზს უსვამს მის წარმატებულ სამუშაოს ობსერვატორიაში – იშვიათი ასტეროიდების აღმოჩენა, რომლებიც ერთმანეთის ორბიტაზე მოძრაობენ. (news. ge)



## „არ გავურბივარ ბოდიშს, მაგრამ რატომ მიიჩნევენ, რომ ეს სახელი მხოლოდ სომეხს ჰქვია...“



კულტურის პალატის პრეზიდენტი დავით ოქიტაშვილი საკუთარ „ფეისბუქ პოსტთან" დაკავშირებით, რომლის გამოც არასამთავრობო ორგანიზაცია მისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს, განმარტებას აკეთებს.

საქმე ეხება საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს" მიმართვას, სადაც აღნიშნულია, რომ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ სტატუსში, ფრაზებში „სურენჩიიკ! ვარდს გაეფურჩქნა ქინძი!", „ეს სურენჩიკა რა დღეშია, ვაი ჩვენს პატრონს, რომ ეს კიდევ ამდენს ბედავს..." – სომხური ეთნიკური იდენტობა ნეგატიურ და დამამცირებელ კონტექსტშია მოხსენიებული.

ოქიტაშვილი აცხადებს, რომ მან ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის სხვის მიერ შერქმეული ფსევდონიმი გამოიყენა, რაც, მისი თქმით, კონკრეტული ერის შეურაცხყოფას არ ნიშნავს. ოქიტაშვილს ორგანიზაციის მიმართვა ჯერ არ მიულია.

„წერილი არ წამიკითხავს. საერთოდ, დიდ პატივს ვცემ ყველა ერს. არც მიფიქრია, რომ დამაცირებელ კონტექსტში ყოფილიყო. თუ საჭირო იქნება, ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, რომ ვინმეს დავცინო. ძალიან ბევრი მეგობარი მყავს აზერბაიჯანელიც, სომეხიც.

„სურენჩიკა" ვიღაცამ დაწერა ფსევდონიმად და იქედან ავიღე. ფსევდონიმად აღება სახელის, იმას არ ნიშნავს, რომ მე რომელიმე ერის წინააღმდეგ გამოვდივარ. ასე შეიძლება დავითზეც ვიღაცამ რაღაც დაწეროს და რატომ უნდა ვუჩივლო. რა პრობლემაა. თუ საჭირო იქნება, არ გავურბივარ ბოდიშს, მაგრამ რატომ მიიჩნევენ, რომ ფსევდონიმად აღებული სახელი მარტო სომეხ ერშია და მხოლოდ სომეხს ჰქვია. სურენჩიკა შეიძლება ერქვას უკრაინელს, ქართველს, ებრაელს...

აზრადაც არ მომსვლია შეურაცხყოფა. ფსევდონიმის აღება თუ დანაშაულია, ბოდიშს მოვიხდი. როცა დამნაშავე ვარ, სხვებისგან განსხვავებით, ბოდიშის მოხდა არ მრცხვენია", – განაცხადა ოქიტაშვილმა და დაამატა, რომ მისი ინფორმაციით სომხეთს მიხეილ სააკაშვილი გამოჩენილი სომხების სიაში ჰყავთ შეყვანილი. (news. ge)

## რუსეთმა სირიაში საზენიტო-სარაკეტო სისტემები განათავსა

რუსეთმა სირიაში საზენიტო-სარაკეტო სისტემები განათავსა. ამის შესახებ რუსეთის საჰაერო-კოსმოსური ძალების მეთაურმა ვიქტორ ბონდარიოვმა გამოცემა „კომსომოლსკაია პრავდასთან“ საუბარში განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთმა არა მხოლოდ მებრძოლები, არამედ თვითმფრინავები, ვერტმფრენები, ბომბდამშენები და საზენიტო სარაკეტო სისტემებიც გაგზავნა.

– ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ, რადგან შესაძლოა, ფორსმაჟორულ სიტუაციებში აღმოვჩნდეთ. იქნება ეს, საბრძოლო თვითმფრინავების გატაცება თუ სხვა, ჩვენ გავთვალეთ ყველა შესაძლო საფრთხე. იქ არა მხოლოდ გამანადგურებლები, მოიერიშეები, ბომბდამშენები და ვერტმფრენები, არამედ საზენიტო-სარაკეტო სისტემებიც განვალაგეთ, – განაცხადა მან. (ნიუპოსტი)

## „იერუსალიმის პატრიარქი 7 წელი გამოკეტილი ჰყავდათ, რის შედეგადაც მისი ჯანმრთელობა უკიდურესად დამძიმდა“



– მეგობრებო, იერუსალიმის დევნილი პატრიარქი ირინეოსი, რომლის შესახებაც არაერთხელ ვწერდი, იერუსალიმის კლინიკის რეანიმაციაშია, – წერს სოციალურ ქსელში ლაშა ჟვანია და მორწმუნე საზოგადოებას სთხოვს, უძლურებაში მყოფი პატრიარქი ლოცვებში მოიხსენიოს.

– 76 წლის პატრიარქი 7 წელი გამოკეტილი ჰყავდა მის საკუთარ საძმოს, რის შედეგადაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. მოიხსენეთ. ქვეყნიერების შემოქმედი და მსაჯული შეეწიოს!!! – წერს ლაშა ჟვანია. (marshalpress.ge)

## ჩხირი კედელს — მექიაური ეროვნული ბანკით კმაყოფილია — და ათასობით ადამიანს სესხები რომ გაუძვირდება, ეგ არაფერი?!



პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მექიაური ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის გაზრდას მიესალმება. როგორც ჟურნალისტებს მექიაურმა განუცხადა, ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ის ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას ეთანხმება. მისი თქმით, როდესაც ინფლაციის მაჩვენებელმა გეგმიურს გადააჭარბა, ეროვნული ბანკის მხრიდან ამ ნაბიჯის გადადგმა ადეკვატურია.

– რეფირანსირების განაკვეთების გაზრდა უფრო ადრეულ ეტაპზე უნდა მომხდარიყო, როცა დევალვაციამ პიკს მიაღწია. მაშინ, ისინი ამ გადაწყვეტილებას იმდენად არ ილებდნენ, რამდენადაც დევალვაცია არ იყო პრიორიტეტი. პრიორიტეტი ინფლაცია იყო, რომლის მაჩვენებელიც იმ დროისთვის საკმაოდ დაბალი იყო, – დასძინა მექიაურმა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი 50 საბაზისო პუნქტით 7.5 პროცენტამდე გაზარდა. (ghn.ge)

# როგორ წერს დაკეტილი „შუქებგამორთული“ სახლის მრიცხველი 2400 ლარის ელექტროენერგიას?

**რა პრობლემებს უქმნის თელასი ქვეყნიდან გასულ აბონენტებს? რატომ ხუჭავს თვალს „თელასი“ დანაშაულზე და რას პასუხობენ „ალიას“ კომპანიაში?**











დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**„ალიას“ „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე, გია ბურჯანაძე ესაუბრა:**

– საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც თელასის აბონენტები პრობლემებით გვირეკავენ. ბევრისთვის ცნობილია, რომ ნებისმიერ აბონენტს, რომელიც ქვეყნიდან მიდის, თავის დაზღვევის მიზნით უწევს შემდეგი რამ: უნდა მოვიდეს „თელასის“ განყოფილებაში და უნდა დაწეროს განცხადება, რომ ქვეყანას ტოვებს და როგორც აბონენტი, ქსელიდან გათიშონ.

სიტუაციას მოგიყვებით ერთ-ერთი აბონენტის მაგალითზე. ეს გახლავთ ისანი-სამგორის რაიონის მცხოვრები, ქალბატონი ოსიპოვა, რომელიც ახლო წარსულში წავიდა მოსკოვში. თავის დაზღვევის მიზნით, მიმართა „თელასის“ განყოფილებას, დაწერა განცხადება, რომ გაეთიშათ მისი მრიცხველი. მას ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, თავისთავად, აქვს.

ამ განცხადების დაწერის შემდეგ ქალბატონმა, მეუღლესთან ერთად, დატოვა ქვეყანა და ქვეყანაში ჩამოვიდა 6 თვის შემდეგ. როდესაც სახლში დაბრუნდა, მას დახვდა 2400 ლარის ოდენობის დავალიანება. თავისთავად, ქალბატონი მივიდა „თელასში“ და ეცადა სიტუაციაში გარკვევას. აუხსნა „თელასის“ განყოფილებას, რომ ის ქვეყანაში არ იმყოფებოდა და შესაბამისად, 2400 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას ვერ დახარჯავდა. თელასში უპასუხეს, რომ რადგან დახარჯულია, ესე იგი ხარჯავდით და ქვეყნიდან არ წასულხართო.

**— კი, მაგრამ „თელასიდან“ ხომ ჰქონდა საბუთი, რომ გათიშავდნენ?**

– რა თქმა უნდა, ეს ქალბატონი წავიდა და მოიტანა ცნობა, სადაც მეზობლები ადასტურებდნენ, რომ ეს ადამიანი არ იმყოფებოდა ამ ხნის განმავლობაში ქვეყანაში, ასევე, მიიტანა პასპორტი, სადაც დასტურდებოდა მათი ქვეყანაში არყოფნა და ის ცნობაც. ანუ სახეზე იყო ელექტროენერგიის მიტაცების საკითხი. ასეთი მექანიზმები დღეს არსებობს. პირველი რაუნდი მოიგო ადამიანმა და დაუდასტურა „თელასს“, რომ ნამდვილად არ იმყოფებოდა ქვეყანაში და ადგილი ჰქონდა ელექტროენერგიის მიტაცებას. თუმცა ამის მიუხედავად „თელასი“ არ ეშვება ამ ადამიანს და ეუბნება, ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა, თქვენ სად იყავით, მთავარია ის, რომ თქვენმა მრიცხველმა დაწერა და უნდა გადაიხადოთო...

**— რანაირად უნდა დაეწერა, ყველაფერი გამორთული ჰქონდა, მრიცხველი გათიშეს, თვითონ ის ყუთიც, სადაც მრიცხველებია, დალუქულია...**

– ჩვენი ორგანიზაცია ჩაერთო, აღმოვაჩინეთ, რომ ის კარადა, სადაც მრიცხველი ინახება, იყო დაზიანებულია ისე, რომ მცირე ზომის ხელით თავისუფლად შეიძლებოდა მისი ჩართვა, ან გამორთვა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მრიცხველი დაზიანებული იყო დაახლოებით 6 თვის განმავლობაში, ანუ იმ პერიოდში, სანამ ეს 2400 ლარი დაიწერა. ამ პერიოდში „თელასის“ აღმრიცხველი დადიოდა, ხედავდა ამ დაზიანებულ კარადას, ამის პარალელურად ედო განცხადება, რომ ეს ადამიანი არ იმყოფებოდა ქვეყანაში, მაგრამ არც კი დაინტერესდნენ მისი შეკეთებით, რომ გამორიცხულიყო ელექტროენერგიის მიტაცება.

პრობლემა მას შემდეგ აღმოიფხვრა, რაც ჩვენ ჩავერთეთ საკითხში, ანუ „თელასის“ თანამშრომლები გამოცხადდნენ და კარადა შეაკეთეს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ თვითონ „თელასი“ აკეთებდა იმის პროვოცირებას, რომ მომხდარიყო ელექტროენერგიის მიტაცება და შემდეგ ეს თანხა გადაეხადა თავისთავად ამ მრიცხველის მეპატრონეს.

**— კი, მაგრამ იმ ქალბატონის მრიცხველიდან გაყვანილობა ხომ უშუალოდ მის ბინაში შედის, იქ კი ყველაფერი გამორთულია?**

– ფაქტია, რომ მრიცხველმა იტრიალა და 2400 ლარის გადასახადი დაიწერა, ქვითარში ასეა მითითებული. ალბათ, დაიტაცა ვილაცამ, მაგრამ ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვინ და როგორ დაწვა ეს ელექტროენერგია, მთავარია, ფაქტი მოხდა და არ კონტროლდებოდა, თუმცა ესაც უნდა გაარკვიოს „თელასმა“, ვინ მიაყენა ამ ქალბატონს ზარალი. არა და, ამ საკითხის რეგულაციისთვის სახელმწიფომ ჩამოაყალიბა სემეკი, რომელიც აუარებელი თანხით ფინანსდება. გულწრფელი შეკითხვა მებადება, ამნისტირებულ აბონენტებზე რომ საუბრობენ, იმ 14000 აბონენტში, რა ტიპის აბონენტების ინტერესებს ითვალისწინებენ, თუ ასეთი ადამიანების ბედით არ ინტერესდებიან, მაშინ რას ემსახურებოდა ის ამნისტია, რა საზომით ზომავს სემეკი ამ ერთეულ საქმეებს, ძალიან საინტერესოა.

**— რამდენად ხშირია მსგავსი პრობლემები, ბევრი ადამიანია დაზარალებული?**

– მარტო ჩვენი ინფორმაციით ასეთი ადამიანი ჩვენი მთელი მოსახლეობის მინიმუმ 3%-ია, რაც, დამეთანხმებით, არ არის პატარა მაჩვენებელი, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გათვალისწინებით. კიდევ რამდენი ადამიანი დგას მსგავსი ფაქტის წინაშე და რამდენი დადგება, იმიტომ, რომ ძალიან ბევრმა დატოვა ქვეყანა და ბევრიც დატოვებას გეგმავს.

**— ამ შემთხვევაში, თქვენ რას ითხოვთ, რას აპირებთ?**

– ჩვენ ვითხოვთ ისეთი მექანიზმის შემუშავებას, სადაც დაცული იქნება აბონენტების ინტერესები და არ მოუწევთ იმის გადახდა, რის გადახდაც არ ერგებათ. სამწუხაროა, რომ დაუცველია დღეს აბონენტთა უმეტესობა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მოგებას ნახულობს „თელასი“ და ეს ხდება კეთილსინდისიერი გადამხდელის ხარჯზე. ამიტომ პირველ რიგში მივმართავ „თელასს“, დაინტერესდეს ასეთი ადამიანების ბედით, მათი ბრალეულობა მდგომარეობს იმაში, რომ მათი ოპერატორი, რომელიც მიდის ადგილზე და ხედავს, რომ მრიცხველია დაზიანებული, ვალდებულია, ეს დარღვევა აღრიცხოს და აღმოფხვრას. თუ უშუალოდ თვითონ ვერ მოაგვარებდა ამ საკითხს, იმხელა ინფორმაცია მაინც უნდა მიეტანა „თელასში“, რომ აბონენტის მრიცხველი, რომელიც ქვეყანაში არ იმყოფება, წერს. მსგავსი მაგალითი უამრავი გვაქვს, უბრალოდ, ამ ეტაპზე მაგალითისთვის ეს შემთხვევა მოვიყვანეთ.

„თელასი“ არ უნდა უწყობდეს ხელს დანაშაულს და მათი თანამშრომლები ასეთ დანაშაულზე თვალს არ უნდა ხუჭავდნენ. ხუჭავენ თვალს და შემდეგ ქვითარს უმაგრებენ კარზე, ეს თანხა უნდა გადაიხადოთო. აი, ამ პრინციპით მუშაობენ. მათთვის მნიშვნელოვანია დაიხარჯოს რაც შეიძლება მეტი ელექტროენერგია, რომ რაც შეიძლება მეტი თანხა მიიღონ. კომპანია უნდა დაინტერესდეს ასეთი აღმრიცხველებით და სამუშაოს არასათანადო შესრულებისთვის სამსახურებიდან უნდა დაითხოვონ. ძალიან ბევრი კეთილსინდისიერია, რომელიც მათ მაგივრად შეასრულებს სამუშაოებს. ისეთ შემთხვევებსაც წავაწყდით, რომლებიც ქვეყნიდან არ გასულან, მაგრამ ზომაზე მეტი გადასახადი მისვლიათ ელექტროენერგიის. ამ ამბებზე ჩვენ „ალიაში“ გასული წლის ნომრებში ვწერდით.

ხომ ხედავთ რა მდგომარეობაა, განცხადებას წერენ აბონენტები ქვეყნიდან გასვლის შესახებ და მაინც მოსდით გადასახადები. ამ რეგულაციის შემოღებამდე ამაზე უარესი მდგომარეობა იყო, მერე ეს რეგულაცია შემოიღეს, მაგრამ ხომ ხედავთ, ვერც ეს შველის საქმეს. ამ ეტაპზე ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ, თუ უშუალოდ კომპანია და სემეკი არ დაინტერესდება მსგავსი საკითხებით.

**აპირებს თუ არა „თელასი“ ბურჯანაძის მიერ ჩამოყალიბებული პრობლემებით დაინტერესებას?**

**ამ კითხვით „თელასის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს, ვალერი ფანცულაიას მივმართეთ:**

– ეს საკითხი რეგულირდება, თუმცა მიჭირს საუბარი, რადგან არ ვიცნობ კონკრეტული პრობლემური აბონენტების საქმეებს. ძალიან რთულია ამ საკითხზე ზოგადად საუბარი, არსებობს მომსახურების წესები, რომლებიც დააწესა მარეგულირებელმა კომისიამ, რომლის თანახმადაც მომხმარებელი მიმართავს კომისიას და იქ ირკვევა მისი საკითხი. ასევე, კონკრეტულ პრობლემებზე „თელასშიც“ არსებობს მომხმარებელთა პრეტენზიის განყოფილება, რომელიც იხილავს ნებისმიერი მომხმარებლის პრეტენზიებს და თუ მომხმარებელი არ ეთანხმება, ასეთ შემთხვევაში ის მიმართავს სემეკს ან სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ მოგვაწვდიან კონკრეტულ საქმეებს, თუკი ჯერ არ მოუმართავთ, ჩვენ აუცილებლად დავინტერესდებით მისით. ასევე, არსებობს ენერგოომბუდსმენი, რომელსაც იმ შემთხვევაში მიმართავენ, თუ ჩვენ არ გვეთანხმებიან.

**— თუ დაინტერესდებით აღმრიცხველების საკითხებით, რომელთა შესახებაც ჩვენი რესპონდენტი ამბობს, რომ არაჯეროვნად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.**

– აღნიშნული პრეტენზია ლაბორატორიულად უნდა შემოწმდეს, ამ ეტაპზე ექსპერტიზის გარეშე ვერ ვისაუბრებ ამ საკითხზე. სამწუხაროდ, ამ დროისთვის არ მაქვს იმის საშუალება, რომ ამ აბონენტების საკითხით დავინტერესდე.



1. სლავური ანბანი
2. გოგოლის მოთხრობა
3. სასამართლოს გადაწყვეტილება
4. ტარზანის როლში ჯონი ...
5. მტაცებელი კატისებრ. ოჯახიდან
6. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
7. მწერალი ... კლარკი
8. რეჟისორი ... სკოტი
9. შეჯიბრი ცხენების გახედვნაში
10. ... ქუხს, ის არ წვიმს
11. უსინათლოთა ანბანი
12. შხამი. ამზადებენ ინდიელები
13. ტარკოვსკის ფილმი
14. მათემატიკური უცნობი
15. მხატვარი ოგიუსტ ...
16. ფეხბურთელი ... ანრი
17. იტალიის დედაქალაქი
18. რუსი მხატვარი
19. მოხარშული ზეთი
20. ნიშნავს ცივს
21. კონტინენტი
22. სოციალური ქსელი
23. მსახ. სილვესტერ ...
24. კურორტი შვეიცარიაში
25. ტალღებზე ფიცრით სრიალი
26. ქალაქი ლატვიაში
27. გერმანული მუსიკალ. პროექტი
28. მომღერალი ენრიკე ...
29. საველე სავადმყოფო
30. მსახიობი მიკი ...
31. მწვერვალი კავკასიონზე
32. მგალობელი ფრინველი
33. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
34. მსახიობი ალბერტო ...
35. ექსპრეზიდენტი თეოდორ ...
36. ზღვაოსანი ფერნანდო ...
37. დამხმარე მასწავლებელი
38. ... ლოიდ ვებერი
39. რელიგიური წესი. კრძალავს ხორცეულის ჭამას
40. ბერძ. ამბანის პირველი ასო
41. თეთრი თიხის კერამიკა
42. ის, ვინც ნალებს აჭედებს
43. „შენ ... ვენახი“
44. ტრანსპორტის სახეობა
45. რეჟისორი ელდარ ...
46. ... გაგარინი
47. ქალაქი ...-იორკი
48. მწერალი ჟორჟ ...
49. მინდვრის ყვავილი
50. ნიკულინი, მორგუნოვი, ...
51. უკრაინული ავტომობილი
52. ზღვის ძუძუმწოვარი
53. აფროამერიკელი, ანუ ...
54. დღე ხვალის შემდეგ
55. ინდიელების ნაჯახი
56. თეატრალური განცხადება
57. სამშენებლო ქვა
58. ორსახა ღმერთი
59. მსუბუქი არმიყი
60. თოფის დეტალი
61. ხის ჯიში
62. კუნძული წყნარ ოკეანეში
63. მხ/ფ „ნეილონის ... ხე“
64. ... გოგებაშვილი
65. კრივის არენა
66. ის, ვინც გარანტიას იძლევა
67. ხის ჯიში
68. ერთგვარი სათამაშო
69. დრამატურგი ჰენრიკ ...
70. ყვავილი
71. მსახიობი ... ფაროუ
72. ბარბი როგორც სათამაშო
73. ტენორი ბენიამინო ...
74. ძიძა
75. ნაცვი, ანუ ...
76. ველური ყაყაჩო
77. მსახიობი ... გრანტი
78. მწერი
79. დაესმის არსებით სახელს
80. ტაბლეტი
81. სანთლის მასალა
82. კუთხეში გავლებული ხაზი
83. ქალაქი რუსეთში
84. მოვლენა: ჩრდილოეთის ...
85. წყლის სალებავები
86. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
87. თებეს მითიური მეფე. გაუცნობიერებლად იქორწინა დედაზე
88. საფრენი აპარატი
89. პროვინცია საფრანგეთში
90. მსახიობი კიანუ ...
91. ლუდის მასალა
92. ზამბახი
93. შვიდი დღე
94. მომღერალი დაიანა ...
95. მატყუარა
96. კოვბოის ქამანდი
97. ფუტკრების სახლი
98. სოფელი ახმეტის რაიონში
99. რომაელი მხედართმთავარი. მისი ნადიმები საარაკოდ იქცა
100. თამაში ვოლანით
101. წვიმისგან დამცავი აქსესუარი
102. ქმრის ძმა
103. კათოლიკური საგალობელი
104. ნამუშევარი წლები
105. მაიმუნის სახეობა
106. უმაღლესი ხარისხის მინა
107. შალის საპალტოე ქსოვილი
108. ჭურჭელი ზოგადად
109. კვიპროსის დედაქალაქი
110. ფრანგი კომედიოგრაფი
111. ხელის საგრილებელი
112. ნასესხები ფული
113. კომპოზიტორი ... ნემსაძე
114. მსახიობი მარისა ...
115. თანამედროვე გიგანტ. ხვლიკი
116. ოსკარ უაილდი. „... გრეის პორტრეტი“
117. აკრობატის სამოსი
118. დაღესტნური სოფელი
119. მაღალი გამავლობის ავტომობილი
120. ყორღანი ვოლგოგრადთან
121. მსახიობი ... მაკკუინი
122. უნგრელი კომპოზიტორი
123. ბოშათა საბჭოთა თეატრი
124. მევიოლინე ვანესა ...
125. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
126. უქორწინო თუთიყუში
127. დეფო. „... ფლენდერსი“
128. მზის ღმერთი ეგვიპტეში
129. გემის მთავარი კოჭი
130. მზარეული გემზე
131. ქმრის და
132. ლომის ამოსაზელი ჯოხი
133. მომღერალი ... რამაზოტი
134. შაბათ საღამო
135. „... ჭკუისაგან“
136. ... მორჩილაძე
137. მხ/ფ „... ქექია“
138. ზანგების გასამართლება ადგილზე სასამართლოს გარეშე
139. ყვავილი
140. უძველესი კოლხეთი
141. ჩეხოვი. „... ვანია“

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## მშობლების სტრესი ბავშვებში ჭარბწონიანობის რისკს ზრდის



მშობლებო, ებრძოლეთ საკუთარ სტრესს, დაიცავით ბავშვები ჭარბწონიანობისგან – ახალი კვლევის თანახმად, ესპანურენოვანი ბავშვები, რომელთა მშობლებსაც სტრესის მაღალი დონე აქვთ, ჭარბწონიანობით გამოირჩევიან.

კვლევა ჩიკაგოში, მაიამიში, ნიუ-იორკსა და სან-დიეგოში ჩატარდა. შედეგად აღმოჩნდა, რომ ბავშვების სიმსუქნე მშობლების სტრესის პროპორციულად იზრდებოდა – სიმსუქნესთან მებრძოლი ბავშვები, რომელთა მშობლებს არანაირი სტრესი არ ჰქონდათ, 20 პროცენტი იყო. ხოლო ის ბავშვები, რომელთა მშობლებს 3 ან მეტი სტრეს-ფაქტორი ჰქონდათ, 34 პროცენტს წარმოადგენდნენ. სტრესი სამსახურთან ან ოჯახურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქრონიკული სტრესის მქონე მშობლების შვილების ჭარბწონიანობის რისკი 2-ჯერ უფრო მაღალია. ქრონიკულ სტრესს იწვევს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ასაკი, სქესი, დაბადებისა და საცხოვრებელი ადგილი.

„სიმსუქნე და ქრონიკული სტრესი ლათინოამერიკელ მოსახლეობაში ძალიან გავრცელებულია. 8-დან 16 წლამდე ბავშვების ერთი მეოთხედი ჭარბწონიანობით იტანჯება. თითქმის ერთი მესამედის მშობლებს კი სტრესის მაღალი დონე აქვთ“, – განაცხადა კვლევის ხელმძღვანელმა, კარმენ ისასმა.

*yashaspina.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## იტალიელ პატიმრებს ციხეში სექსის უფლებას აძლევენ?



მალე გალავანს გარეთ „პრაგულკის“ უფლებას მისცემენ, მერე არჩევნებში ხმის მიცემის უფლებას და ბოლოს ციხეში მოხვედრა საოცნებოც კი გახდება. იტალიის პარლამენტი უკვე მუშაობს ახალ იდეაზე, რომელიც პატიმრებს ციხეში ცოლთან, მეგობარ გოგონასთან ან, უბრალოდ, ნაცნობთან სექსუალური კონტაქტის უფლებას მისცემს. იდეას უკვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგები. მათი თქმით, ეს კანონი ციხეს ბორდელად გადააქცევს. პრინციპში, რომელი პატიმარი იქნება წინააღმდეგი ციხის ნაცვლად ბორდელში იცხოვროს. პატიმრებს თვეში ერთი ვიზიტის უფლება ექნებათ, რომელიც 6-დან 24 საათამდე ხანგრძლივობის იქნება. ცოლებთან პაემნები ბევრ ევროპულ ქვეყანაშია ნებადართული. მათ შორის, დანიაში, გერმანიასა და ესპანეთში. პაემნის ოთახები ახალი თეთრეულით, ინდივიდუალური პირსახოცებითა და საშხაპეებითაა აღჭურვილი.

დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში ინდივიდუალური პაემნები შერჩევითია და კანონით არ რეგულირდება. ექსპერტების აზრით სწორედ ამ არჩევითობის ბრალია, რომ ამ ქვეყნების ციხეებში სექსუალური ძალადობა ყვავის.

*365news.biz*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## შინაურ ცხოველებთან ერთად ცხოვრება ბავშვებში ასთმის რისკს ამცირებს



თუ ბავშვს ელოდებით და სახლში შინაური ცხოველი გყავთ, ნუ იჩქარებთ მის გაჩუქებას. პირიქით, მეტად დააფასეთ და მოუარეთ, ვინაიდან ბავშვები, რომლებსაც ხშირი ურთიერთობა აქვთ ცხოველებთან, 15 პროცენტით უფრო ნაკლებად არიან ასთმური დაავადებების რისკის ქვეშ. ექსპერიმენტი შვედმა მეცნიერებმა ჩაატარეს და 9 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. აღმოჩნდა, რომ ბავშვები, რომლებიც შინაურ ცხოველებთან ერთად ცხოვრობდნენ, უფრო იშვიათად ავადდებოდნენ ასთმით. ასევე, ასთმა უფრო ნაკლებად ემუქრებათ იმ ბავშვებს, რომლებიც ფერმაში ცხოვრობენ.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## თბილისი ნაკლებად ცნობილ, მაგრამ ყველაზე ლამაზი ქალაქების ათეულშია



შეიძლება ბევრ საკითხში ევროპული სტანდარტებისგან შორს ვიყოთ. მაგალითად, ვერ მოვხვდეთ ყველაზე დაცული, ყველაზე დაზღვეული, ყველაზე ჯანმრთელი ან ყველაზე მდიდარი ერების თუნდაც ასეულშიც, მაგრამ მთები, ტყეები და მდინარეები რომ გვაქვს და თავის მოწონებაც შეგვიძლია, ყველამ ვიცით და ვტრაბახობთ კიდეც. მოკლედ, ყველაფერი ის, რასაც ჩვენი შრომა და ჩარევა არ დასჭირვებია, კარგი გვაქვს. ამიტომაც თბილისი, ევროპის ნაკლებად ცნობილ, მაგრამ მეტად კარგ ქალაქებს შორის მოხვდა. ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა იმ ქალაქების ტოპ ათეული, რომელიც ტურისტებისთვის უცნობია, მაგრამ აუცილებლად უნდა ნახონ. ჰოდა, ველოდებით, როდის დაიწყება თბილისის ბილეთებზე რიგი და საბაგიროზე ტურისტების წყვეტა. პირველ ადგილზე იტალიის ქალაქი ბერგამოა, რომელიც შესანიშნავი ტბებით გამოირჩევა და ტურისტებს კარგ შთაბეჭდილებებს ჰპირდება. მეორეზე ესპანეთის ქალაქი ვიტორია-გასტეისია, სადაც შესაძლებელი ყოფილა ქვეყნის სულის სრულყოფილად შეგრძნება. სამეულს პორტუგალიის ქალაქი ტავირა ხურავს. ჩვენი ქალაქი კი ათეულის მე-8 ადგილზეა და არანაირი აღწერა არ აქვს, ანუ სიტყვები ზედმეტია, ეს უნდა ნახო!

*korrespondent.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ძაღლი მეფე ჰენრი მე-8 ინტერნეტვარსკვლავი გახდა



ჭარბწონიანობის პრობლემა ცხოველებსაც აწუხებთ. მეტიც, ისინი უფრო გამოუვალ მდგომარეობაში არიან ზარმაცი და უყურადღებო პატრონების ხელში, რომლებიც არასწორად კვებავენ და სათანადოდ არ ავარჯიშებენ ცხოველებს. ძაღლი, სახელად მეფე ჰენრი მე-8 ინტერნეტვარსკვლავი გახდა. მის პატრონს თვითმფრინავის პირველი კლასის ორი ბილეთი ჰქონდა შეძენილი თავისთვის და თავისი მსუქანა ძაღლისთვის. ფრენის დროს მგზავრები განიხილავდნენ, რა ხერხებით შეძლებოდა ძაღლის წონაში ასე მომატება. ჰენრი მერვეს ერთ-ერთმა მგზავრმა ფოტო გადაუღო და ტვიტერზე ატვირთა. მოკლე დროში ფოტოს 6,8 ათასი გამზიარებელი ჰყავდა. ამერიკელი ზოოლოგების თქმით, ცხოველების ჭარბწონიანობა მათი პატრონების ბრალია. მათ არ იციან, როგორ კვებონ, როგორ ავარჯიშონ და როგორ დაეხმარონ ცხოველებს ცხოვრების ჯანსაღი წესით ცხოვრებაში. სწორედ ამის გამო, ზარმაცი პატრონების ცხოველები ადვილად იმატებენ წონაში და შემდეგ ველარ იკლებენ.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## დიდ ბრიტანეთში სელფდამოკიდებულებისგან განსაკურნი აბები გამოუშვეს



სელფდამოკიდებულება გავრცელების მასშტაბითა და სიმძლავრით ლამის ნარკოდამოკიდებულებას უსწრებს. ყველა მოწყენასა და იმედგაცრუებაზე ფსიქოლოგისთვის დახმარების თხოვნა ჩვეულებრივი და უკვე მოდური მოვლენაა. თურმე, ძალიან ბევრი ადამიანი „იტანჯება“ იმით, რომ საკუთარი თავი ჭარბად უყვარს და დღეში ჭერაოდენობის სელფის გადაღებაზე უარს ვერ ამბობს. ამიტომაც ბრიტანულმა ონლაინმაღაზიამ აბები გამოუშვა, რომელიც სელფდამოკიდებულებისგან კურნავს. აბებს წამლის ეფექტი არ აქვს, სამაგიეროდ სუნთქვას აუმჯობესებს. როცა სელფის გადაღება მოგინდებათ, ეს აბი უნდა გადაყლაპოთ, ღრმად ისუნთქოთ და მავნე ჩვევის წადილიც გაგივლით. მამაკაცებისთვის 2, ხოლო ქალებისთვის დღეში 3 აბია გათვალისწინებული. როგორც ჩანს, ქალები უფრო მეტად „იტანჯებიან“ ნარცისიზმით.

*lenta.ru*




– მომისმინეთ, ბატონო, უკვე ნახევარი საათია, ყურმილი ტყუილად გიკავიათ და ხმას არ იღებთ. თუ შეიძლება, მომეცით საშუალება, მეც დავრეკო!

– ხელს ნუ მიშლით, ვერ ხედავთ, ცოლს რომ ველაპარაკები?!

*****

– კოტე, სად მუშაობს შენი სიდედრი?

– ვეტერინარია 20-წლიანი სტაჟით. ძირითადად, დიდი ცხოველების კასტრაციითაა დაკავებული.

– ჰეჰეჰე! აი, თურმე, რატომ ხარ ხოლმე ასე განაბული, როცა გსტუმრობს...

*****

საშინლად გამომთვრალი ქმარი სახლში ძალიან გვიან ბრუნდება. კარს აღებს და ზღურბლზე ტაფამომარჯვებულ ცოლს ხედავს:

– უი, საყვარელო, მელოდებოდი? ყველაფერი კარგადაა, დაიძინე, საერთოდ არ მშია!..

*****

ახალგაზრდა ქალი აფთიაქში:

– გაქვთ პრეზერვატივი მარწყვის გემოთი?

– დიახ.

– და ჟოლოს არომატით?

– კი, ეგეთიც გვაქვს.

– იქნებ ატმის გემოიანიც გქონდეთ?

– გოგონი, ვერ გავიგე, კაცთან დაწოლას აპირებთ თუ კომპოტის მოხარშვას?!

*****

ქმრიან ქალს საყვარელი სტუმრობს:

– მაგარი პოზა ვიცი: ფანჯარასთან დადექი, მე კარადაზე ავალ და იქიდან დაგახტები.

– არა, მოლაპარაკე თუთიყუში მყავს და ყველას მოუყვება!

უცბად თუთიყუშის ხმა ისმის:

– თუ გინდათ, ენა მომაჭერით, მაგრამ ეს ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა ვნახო!!!

*****

– ღმერთო, რა დიდებულია! კიდევ ერთხელ ჩამჩურჩულეთ ყურში ის სამი სიტყვა...

– თქვენი კრედიტი დაფარულია...

– ოოო, ღმერთო, რა დიდებულია!!!

*****



ლოთი ძმაკაცები საუბრობენ:

– ეჰ, ექიმთან ვიყავი, ასე მითხრა, დღეში 100 გრამზე მეტი არ დალიოო.

– შენც ადექი და კიდევ ოთხ ექიმთან მიდი, „პოლიტრა“ გამოგივა...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

# თამარ დეკანოიძის გახსენება



თამრიკო... თამრი... ასე გეძახდით სტუდენტობის დროს. შენი მიმტევებელი, გულუბრყვილო, კეთილი ხასიათითა და გარეგნობით ყველასგან გამოირჩეოდი. სულ ერთად ვიყავით: ინსტიტუტი, ლექციები, გართობა თუ სეირნობა. ყოველი გამოცდის წინ იყო თეთრად გათენებული ღამეები.

თამრიკო... თამრი... ასე მოგმართავდით მაშინაც, როცა იშვიათად ვახერხებდით ერთმანეთის ნახვას. სალაპარაკო ბევრი გვქონდა. თითქოს წლებიც არ გასულა, თითქოს ყველაფერი გუშინ იყო...

ცხოვრებაში ბევრი სიხარული თუ უიმედობა გამოვიარეთ, ვიცვლებოდით... შენ კი ისევ ისეთი მიმტევებელი და ყველას გულშემატკივარი იყავი. ამიტომაც ცხოვრების გზაზე ბევრი მეგობარი შეიძინე, რომლებიც ჩვენთან ერთად გულით დაგტირიან.

თამრიკო... თამრი... 40 დღეა, რაც არ ხარ ჩვენს შორის. 40 დღეა, ვლოცულობთ, სანთლებს ვანთებთ და შენს სახელს გულში ვიმეორებთ.

უფალს შევთხოვთ, ჩვენმა მეგობრობამ, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათოს სამარადისო სასუფეველში.

*ეთერ ლაღაძე, მადონა მჟავანაძე, ნარგიზა გვიშიანი, მერი ჭუმბურიძე, მზია გოგოძე, ავთო გასვიანი, აივენგო ხუციშვილი*

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## კბილების გამოხეხვა ასაკობრივ გონებასუსტობას ებრძვის



გვინდა, არ გვინდა, ასაკში ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები მაინც იკლებს. საბედნიეროდ, არის რაღაც მეთოდები, რომლებიც ამ უსიამოვნო პროცესთან შებრძოლებაში დაგვეხმარება. მაგალითად, თუნდაც კბილების გამოხეხვა. კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტების თქმით, პირის ღრუს ჰიგიენას პირდაპირი კავშირი აქვს ასაკობრივ გონებასუსტობასთან. მათი თქმით, რაც უფრო ხშირად გავიხეხავთ კბილებს, რისკიც მით უფრო მცირდება.

იმისთვის, რათა ეს ჰიპოთეზა შეემოწმებინათ, სპეციალისტებმა 5500 ადამიანი შეარჩიეს, რომელთა ასაკიც 52-დან 105 წლამდე მერყეობდა. დასაწყისში არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ალცჰეიმერის დაავადების ნიშნები. მეცნიერებმა მოხალისეებს ჩაუტარეს გამოკითხვა, რათა გაერკვიათ, როგორ მდგომარეობაში იყო მათი კბილები, რამდენად იცავდნენ პირად ჰიგიენას, იყენებდნენ თუ არა კბილის პროთეზებს და ასე შემდეგ.

კვლევა 18 წელი გრძელდებოდა. ამ ხნის მანძილზე ზოგიერთ მოხალისეს, სამწუხაროდ, ასაკობრივი გონებასუსტობა შეეპარა.

დადგინდა, რომ მათ შორის 65 პროცენტით მეტი აღმოჩნდა ისეთი, ვინც კბილებისა და პირის ღრუს ჰიგიენას უგულებელყოფდა.

საინტერესოა ისიც, რომ ეს კანონზომიერება მეტწილად სუსტი სქესის შემთხვევაში გამოვლინდა. მიღებული შედეგით სპეციალისტები დიდად არც გაკვირვებულან, რადგან, როგორც ამბობენ, კბილების გამოხეხვისას ხდება ისეთი მავნე ბაქტერიების განადგურება, რომლებიც უამრავი უსიამოვნების გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს.

**dr20.ru**

## კარიესის საწინააღმდეგო საშუალება შესაძლოა... კამფეტი გახდეს



როგორ შეიძლება კარიესს კამფეტით ვებრძოლოთ, როცა სულ იმას ამბობენ, ტკბილეული კბილებისთვის მავნებელიაო?

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, გერმანელი სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ შექმნეს კამფეტი, რომელიც არ შეიცავს შაქარს და რომელიც ადამიანს კარიესისგან და ანთებებისგან იცავს. სიახლის ავტორების განმარტებით, მათ შეძლეს და შექმნეს ისეთი ბაქტერიები, რომლებიც კამფეტის მეშვეობით პირის ღრუში მოხვედრის შემდეგ საშიში პათოგენების განეიტრალებას ახერხებენ. ჯერჯერობით პროდუქტზე მუშაობა დასრულებული არ არის, თუმცა პირველადი შედეგებით სიახლის ავტორები ძალიან კმაყოფილები არიან.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**myjane.ru**

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**6 ნოემბერი:** კაბალურ დამოკიდებულებაზე არავითარი ურთიერთობები არ აეწყობა. მიეცით თავისუფლება თქვენს პარტნიორს და დატკბით მისით.

**კურო 22.04-21.05**

**6 ნოემბერი:** არ გაბრაზდეთ თქვენს მეგობრებზე, თუკი ვერ გაგიგებენ. მოგვიანებით თქვენს ნააზრევსა და მოქმედებებს სათანადოდ დააფასებენ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**6 ნოემბერი:** მიზანს იმდენად ადვილად მიაღწევთ, შეიძლება გაწბილებულიც დარჩეთ. მაგრამ ამით თქვენი ძალისხმევა ხომ არ უფასურდება.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**6 ნოემბერი:** შესაძლოა, დღეს მეხსიერებამ დაგაღალატოთ. ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილე გმართებთ, რომ გზა არ აგებნეთ.

**ლომი 23.07-22.08**

**6 ნოემბერი:** თქვენს გარეგნობას დიდი მნიშვნელობა ექნება. შინაგანად როგორც არ უნდა შფოთავდეთ, თავდაჯერებული გამომეტყველება მიიღეთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**6 ნოემბერი:** ურთიერთგაგებას დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდოთ. ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად სწორად გაიგებენ თქვენს ნათქვამს.

**სასწორი 23.09-22.10**

**6 ნოემბერი:** დიდი შანსია, საქმიან ან იურიდიულ გაუგებრობაში აღმოჩნდეთ. რაც შეიძლება მეტი კითხვა დასვით, გაურკვეველი დეტალები სიკეთეს არ მოგიტანთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**6 ნოემბერი:** კარგად ნაცნობ სიტუაციებს სხვა თვალით შეხედავთ. ის, რაც ადრე რთული გეჩვენებოდათ, ძალიან მარტივი აღმოჩნდება.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**6 ნოემბერი:** საკუთარ თავში აღმოაჩენთ შეგრძნებას, რომ არ გინდათ ეს დღე დამთავრდეს. როგორც ჩანს, საკმაოდ სასიამოვნო დღე გელით.

**თხის რქა 22.12-19.01**

**6 ნოემბერი:** არაფერი დაიჯეროთ, რასაც საკუთარი თვალით არ ნახავთ. სხვის ნათქვამზე დასკვნების გამოტანა ისევე სახიფათოა, როგორც წაუკითხავ დოკუმენტზე ხელის მოწერა.

**მერწყული 20.01-18.02**

**6 ნოემბერი:** თუ თქვენთან ერთად წამოსვლა არავის არ უნდა, მარტო მიხედეთ საქმეს, ვინმეს გადარწმუნებაში დრო არ დაკარგოთ, მოგვიანებით შემოგიერთდებიან.

**თევზები 19.02-20.03**

**6 ნოემბერი:** მშვიდი და სასიამოვნო დღე უნდა იყოს. მხოლოდ ერთი პრობლემაა მოსალოდნელი – თუ ვინმეს გაიცნობთ, ფრთხილად იყავით, შეიძლება უსიამოვნებას შეგყაროთ.

**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

# სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

**„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი**

**(15 საათიდან)**

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**

## ინფრაწითელი კამერა ნასვამი ადამიანის გამოვლენას შეძლებს



წყევლაც თუ დაუწყო: ნავთი დალიე და ცეცხლი დააყოლეო, მერე ნახეთ თქვენ!..

სანამ აქამდე წავა ტექნიკა, მანამდე გეტყვით, რომ ბერძენმა მეცნიერებმა შეიმუშავეს მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა, მოხდეს ნასვამი ადამიანის ფხიზელისგან განსხვავება ფოტოთი, რომელსაც ინფრაწითელი კამერა გადაიღებს.

ექსპერიმენტის ფარგლებში 20 ადამიანს 20-წუთიანი ინტერვალებით ოთხი 330-გრამიანი კათხით ლუდი უნდა დაელია. თითოეული კათხის გამოცლის შემდეგ, მათ ინფრაწითელი კამერით ფოტოსაც უღებდნენ.

ნასვამი ადამიანის გამოვლენას სპეციალური ალგორითმი ახერხებს, რომელიც ალკოჰოლის მიღების შემდეგ ადამიანის სახის ცვლილებებს აღიქვამს და დასკვნებსაც ამის მიხედვით აკეთებს.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი მეთოდიც, რომელიც ტემპერატურულ ცვლილებებზეა დაფუძნებული. კერძოდ, როგორც წესი, ნასვამ ადამიანს პირისა და ცხვირის მიდამოები უფრო თბილი აქვს, ვიდრე სხეულის სხვა ნაწილები. ინფრაწითელი კამერაც სწორედ ამას აფიქსირებს.

ალბათ, გამოგონება ძალიან დააინტერესებს აეროპორტების, გასართობი ცენტრებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების ხელმძღვანელობას, რათა არასასურველი ადამიანების თავიდან მოშორება დროულად მოხერხდეს.

**zemladom.org**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ორი ძმაკაცი ოჯახურ ამბებს განიხილავს:

– აღარ შემიძლია ჩემი ცოლის გაძლება, გამაწამა და გამამწარა!

– მე იოლად ვუმკლავდები, გუშინაც წამში მოვაკეტინე.

– როგორ, მეც მასწავლო იქნებ?

– როგორ და მოვიდა და მეუბნება: „ადექი, ნაგავი გადაყარე!“

– მერე?

– მერე მე ვუპასუხე: „აბა, დაახვიე ახლა აქედან, ჯერ ჭურჭლის რეცხვა არ დამიმთავრებია!“

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

№ 211359457

**გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე**

**რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი**
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – **მიხეილ სახვაძე**
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი **ილია ჭაქვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი **ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.54